ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

16 ოქტომბერი, 2019

ოთხშაბათი, №9 (2235)

თსუ დუდუ დადიანის თასის მფლობელია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი დუდუ დადიანის მემორიალური თასის მფლობელია!

თსუ-ის საკალათბურთო გუნდმა სეზონის პირველი ტურნირი წარმატებით დაიწყო, 87:69 ანგარიშით დაამარცხა გათუმის გუნდი და დუდუ დადიანის მემორალური ტურნირის გამარჯვებული გახდა!

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად თსუ-ის ცენტრფორვარდი გიორგი კორსანტია დასახელდა.

მითების მსხვრევის დღე

უნივერსიტეტმა მსოფლიოს გამოწვევებს ფსიქიატრიულ პრობლემებზე ექსპერტული ხედვებით უპასუხა

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ავრცელებს მესიჯს, რომ დღეს, მსოფლიოში, ყოველ 40 წამში ერთი ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს.

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია საქართველოში სუიციდის სტატისტიკაზე ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობს, რომ 2018 წელს სუიციდის 389 და მცდელობის 477 ფაქტი მოხდა, ხოლო 2019 წლის 6 თვის განმავლობაში 219 ადამიანმა სცადა თვითმკვლელობა, 207-მა კი სიცოცხლე სუიციდით დაასრულა.

„სახელმწიფომ აღიარა, რომ უნდა ჰქონდეს შემუშავებული სუიციდის პრევენციის პროგრამა, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ასეთი პროგრამა არ აქვს", — აცხადებს სახალხო დამცველი.

სწორედ ამ გამოწვევებს უპასუხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური წრის წარმომადგენელთა და კვალიფიციურ სპეციალისტთა ჩართულობით გამართულმა ფართო დისკუსიამ მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელიც სუიციდის პრობლემას მიეძღვნა. დისკუსია ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღის აღსანიშნავად გაიმართა.

გვ. 3

- კიდევ ერთი დისკუსია სუიციდზე — მკაფიო აქცენტები საზოგადოებისა და მედიის გასაგონად
- პრობლემის მოგვარების გზების ძიება
- როგორ აავადებს და უმახინჯებს ცხოვრებას ადამიანებს სტიგმები



ნომერში

- ქართველი მეცნიერებისთვის უმსხვილესი ევროპული ფონდები ხელმისაწვდომი ხდება გვ. 2
- ღია კარის დღე უნგრული ენისა და კულტურის შესწავლის მსურველთათვის გვ. 2
- თამაზ გამყრელიძე – დიდი მეცნიერი, ღირსეული მოწაფე და მასწავლებელი გვ. 15

ექსპერტი გია აბაშიძე

- საქართველოში მომრავლებული „ფეიკ ნიუსები" – საფრთხე, რომელიც სახელმწიფოებრივ სტაბილურობას ემუქრება გვ. 12

ტუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი სონია უტცი

- სონია უტცი: გასახარია, რომ მედიაფსიქოლოგიის შესწავლა საქართველოშიც შესაძლებელია გვ. 13

სტუდენტურ თვითმმართველობაში სტუდენტთა გაწევრიანების მსურველთა რიცხვი იზრდება

სიახლეები, აქტივობები, გეგმები

გვ. 14-15

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019

ფესტივალის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებები გვ. 6-11

ქართველი მეცნიერებისთვის უმსხვილესი ევროპული ფონდები ხელმისაწვდომი ხდება

საქართველო ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის EURAXESS-ის წევრი გახდა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა ზვიად გაბისონიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს საქართველოს EURAXESS-ში გაწევრიანების დეტალები გააცნეს და იმ შესაძლებლობების შესახებ ისაუბრეს, რომლებიც საქართველოს მეცნიერების ერთიან ევროპულ სივრცეში გაწევრიანებით თითოეულ ქართველ მეცნიერს გაუჩნდება.

„მოგეხსენებათ, ორი კვირის წინ ბრიუსელში ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, საქართველო ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის EURAXESS-ის წევრი გახდა. ეს გულისხმობს იმას, რომ ქართველ მეცნიერებს ეხსნებათ გზა იმ რესურსებისკენ, რომლითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები. მათთვის ხელმისაწვდომი ხდება უმსხვილესი ევროპული ფონდები. ქართველ მეცნიერებს გაუჩნდათ შესაძლებლობა ითანამშრომლონ სხვადასხვა ევროპულ ინსტიტუციებთან, განახორციელონ ერთობლივი პროექტები. დღეს გვქონდა უმნიშვნელოვანესი შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან, რომელთაც გავაცანით ყველა ის შესაძლებლობა, რაც EURAXESS-ში გაწევრიანებით თითოეულ მათგანს გაუჩნდება“, — აღნიშნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა.

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელმა ზვიად გაბისონიამ კი საქართველოში EURAXESS-ის ოფიციალური წარმომადგენლობის შესახებ ისაუბრა, რომელიც ქართველ მეცნიერებს დაეხმარება ყველა იმ ტექნიკური დეტალის გაცნობაში, რაც EURAXESS-ის სერვისებით სარგებლობისთვის არის აუცილებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა საქართველოს სახელით აფხაზ მეცნიერებსაც ექნებათ.

„როგორც იცით, ერთი კვირის წინ დაფუძნდა EURAXESS-ის წარმომადგენლობა საქართველოში — EURAXESS Georgia. ჩვენ ინტენსიური შეხვედრები დავიწყეთ უნივერსიტეტებთან, რათა ქართველ მეცნიერებს პირდაპირი წვდომა ჰქონდეთ EURAXESS-თან, ავუხსნათ ყველა ის ტექნიკური დეტალი, რომლის მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ისარგებლონ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი უზარმაზარი ბიუჯეტით — თქვენ იცით, რომ ჯამური ბიუჯეტი, დაახლოებით, 100 მილიარდია და EURAXESS-ის პლატფორმაზე დღეს მიმდინარე კონკურსების ბიუჯეტი, დაახლოებით, ორ მილიარდ ევროს შეადგენს. პასიურ რეჟიმში დარეგისტრირება დღეიდან უკვე შესაძლებელია, ხოლო იანვრიდან ამოქმედდება ახალი ვებ-გვერდი — EURAXESS Georgia, რაც მეცნიერებს საშუალებას მისცემთ ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში. აფხაზ მეცნიერებს კონკურსში მონაწილეობის მიღება საქართველოს დროშის ქვეშ შეეძლებათ“, — განაცხადა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა ზვიად გაბისონიამ.

საქართველო ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია EURAXESS-ის წევრი ოფიციალურად მიმდინარე წლის 24 სექტემბერს გახდა. შესაბამის დოკუმენტს ხელი ბრიუსელში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა ზვიად გაბისონიამ და ევროპული კომისიის კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორის მოადგილემ პატრიკ ჩაილდმა მოაწერეს.

> იანვრიდან ამოქმედდება ახალი ვებ-გვერდი – EURAXESS Georgia, რაც მეცნიერებს საშუალებას მისცემთ ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში. აფხაზ მეცნიერებს კონკურსში მონაწილეობის მიღება საქართველოს დროშის ქვეშ შეეძლებათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ EURAXESS-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უმნიშვნელოვანესი უწოდა იმ ფაქტს, რომ მსხვილ ევროპულ ფონდებთან და გრანტებთან ქართველ მეცნიერებს, მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერებს რეალური წვდომა ექნებათ.

„ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს EURAXESS-ში გაწევრიანება. ეს არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ევროპული განათლების ერთიან სივრცეში გაწევრიანებისკენ. არსებობს ბევრი ევროპული პროგრამა, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოსთვის. მაგალითად, Horizon2020 და მომავალი Horizon ევროპა. ესენია მსოფლიოში მეცნიერების უდიდესი დამფინანსებელი ფონდები. ძალიან კარგია, რომ ბევრი ქსელური პროგრამაა საქართველოში. მათ შორის, ევროპის აკადემიის ჰაბი და EURAXESS, რასაკვირველია. ყველაფერი ეს ემსახურება იმას, რომ ქართველი მეცნიერებისთვის და, რა თქმა უნდა, მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მსხვილი ევროპული ფონდები და გრანტები“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გია შარვაშიძემ უნივერსიტეტში შეხვედრისას.

რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნუგზარ შავლაყაძეც მიიჩნევს, რომ EURAXESS-ში გაწევრიანება საქართველოს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს მეცნიერების ევროპული ინტეგრაციისთვის და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაში შესაძლებელია ქართველი ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა, რაც ჩვენი მართლაც უნიკალური შანსია ევროსივრცეში ინტეგრაციისთვის. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მეცნიერების წინსვლას და განვითარებას ჩვენს ქვეყანაში და ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი მეცნიერების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას. მივესალმებით ამ სერიოზულ ნაბიჯს, რომელიც სამინისტროს მხრიდან გადაიდგა. მჯერა, ქართველი მეცნიერები დიდი მონდომებითა და ყურადღებით ჩაერთვებიან ამ პროგრამაში. უნდა გამოვიყენოთ ეს მართლაც უნიკალური შანსი და ჩვენი სახე უნდა ვაჩვენოთ მთელს ევროპულ სივრცეს“, — განაცხადა ნუგზარ შავლაყაძემ.

აღნიშნულ ინფორმაციას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

ღია ჯარის დღე უნგრული ენისა და კულტურის შესწავლის მსურველთათვის

პირველად საქართველოში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნგრული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსი იხსნება. ამასთან დაკავშირებით უნგრული ცენტრის წარმომადგენელმა არპად ელეშმა სტუდენტებს უნგრულის შესწავლის სპეციფიკა და უპირატესობა გააცნო. ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო გვენეტაძე, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორის მოადგილის ნინო გვენეტაძის ინფორმაციით, შეხვედრამ აჩვენა, რომ სტუდენტებს უნგრული ენისა და კულტურის შესწავლის დიდი სურვილი აქვთ. აღნიშნული ინიციატივა სტუდენტებს უნგრული ენის საბაზისო დონეზე შესწავლის შესაძლებლობას მისცემს. ისინი ასევე მონაწილეობას მიიღებენ საგრანტო პროგრამებში. დღევანდელ შეხვედრაზე უნგრული ცენტრის წარმომადგენელმა სტუდენტებს უნგრეთის კულტურასთან დაკავშირებით ის ინფორმაცია მიაწოდა, რაც მათ უნგრეთში სწავლის სურვილს გაუღვივებს“, — აღნიშნა რექტორის მოადგილემ.

უნგრული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსი თსუ-ის უწყვეტი განათლების ბაზაზე ოქტომბრის ბოლოს გაიხსნება. „უნგრული ენა ისეთივე რთულია, როგორც ქართული. აღნიშნული კურსი ენას საბაზისო დონეზე ასწავლის. გარდა ამისა, სტუდენტები ინფორმაციას მიიღებენ უნგრული ლიტერატურის, კულტურისა და თანამედროვე უნგრული ხელოვნების შესახებ“, — განაცხადა უნგრული ცენტრის წარმომადგენელმა არპად ელეშმა.

უნგრეთის მთავრობის სასტიპენდიო პროგრამით, ყოველ წელს, 80 ქართველი სტუდენტი მიემგზავრება უნგრეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში სასწავლებლად.

უნგრული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსით დაინტერესებული ერთ-ერთი პირველი სტუდენტი მარიამ მთივლიშვილი თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სწავლობს. „ჩემთვის, როგორც ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ენების შესწავლა. განსაკუთრებით საინტერესოა უნგრული ენა, რადგან სამომავლოდ სწორედ ამ ქვეყანაში მსურს სწავლის გაგრძელება და ვფიქრობ, აღნიშნული კურსით უნივერსიტეტი ხელს მიწყობს ჩემი გეგმების განხორციელებაში“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა.

2019 წლის ივლისში თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და უნგრეთის საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის მინისტრმა პიტერ სიიარტომ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც თსუ-ში უნგრული ენისა და კულტურის საკითხთა სწავლებას ითვალისწინებს. მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტში უნგრულ ენასა და კულტურას შეასწავლის უნგრეთის საგარეო უწყების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ინსტრუქტორი. ერთწლიანი სწავლების შემდეგ უნივერსიტეტი განიხილავს პროგრამის სათანადოობასა და კრედიტების სისტემასთან ინტეგრაციის შესაძლებლობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

შესწორება

წინა ნომერში დაბეჭდილი ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო კონკურსების თაობაზე არ გახლდათ სრულყოფილი. გაცნობებთ, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში 1400-ზე მეტი ვაკანსია იყო აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე გამოცხადებული. კონკურსების შედეგები მხოლოდ 16 შემთხვევაში გასაჩივრდა სასამართლოში. ამ ეტაპზე, 2 საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლო თსუ-ის სასარგებლოდ დასრულდა. დანარჩენი განხილვის პროცესშია შესაბამის ინსტანციებში.

ეს საინტერესოა...

მითების მსხვრევის დღე

უნივერსიტეტმა მსოფლიოს გამოწვევებს ფსიქიატრიულ პრობლემებზე ექსპერტული ხედვებით უპასუხა

ნინო ჯაჯულია,
თამარ დადიანი

1-ლი გვერდიდან

მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რექტორის მოადგილემ, პროფესორმა, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის დირექტორის მოადგილემ ფსიქიატრიის მიმართულებით ნინო ოკრიბელაშვილმა, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელმა ლაშა კილაძემ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ, საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარემ ეკა ჭყონიამ, მედიამკვლევარმა, პროფესორმა თიკო ცომაიამ, მედიაფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარიამ გერსამიამ, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა.

* * *

„დღევანდელი დღე მითების მსხვრევას უნდა მოემსახუროს. სუიციდი ხელშეუხებელი თემა არ არის და მასზე საუბარი უნდა დავიწყოთ“, — ასე გახსნა აქტუალურ ფსიქიკურ პრობლემზე ორიენტირებული დისკუსია უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა, ფსიქიატრმა ნინო ოკრიბელაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მარიამ ასპანიძემ საინტერესო აქცენტებით წარმოადგინა პრეზენტაცია — „40 წამი მოქმედებისთვის“, რომელიც სუიციდის შემთხვევების სტატისტიკას მოიცავდა და სადაც თვითმკვლელობების კონკრეტული მიზეზები იყო დასახელებული.

„მსოფლიოში ყოველწლიურად 800 000 ადამიანი იღუპება თვითმკვლელობით, რაც, დაახლოებით, ყოველ 40 წამში თითო ადამიანია.

მოზარდებში სუიციდი გარდაცვალების მესამე წამყვან მიზეზს წარმოადგენს, ხოლო 15-იდან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში სუიციდს მეორე წამყვანი ადგილი უჭირავს. სუიციდის შემთხვევათა 79%-ს დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში

აქტუალური თემა...

ჯვალიფიციური დისკუსია...

გზავნილი ხელისუფლებას საუნივერსიტეტო საზოგადოებისგან

ვხვდებით. პესტიციდების მიღება, ჩამოხრჩობა, იარაღის გამოყენება — ეს არის ყველაზე გავრცელებული მეთოდები, რითაც ადამიანები სიცოცხლეს ამთავრებენ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ, დაახლოებით, 2020 წლისთვის თვითმკვლელობის რიცხვი 1,5 მილიონამდე მიაღწევს. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოში სუიციდის, დაახლოებით, 5500 შემთხვევა დაფიქსირდა. ყველაზე მეტი შემთხვევა 2004 წელს იყო. მომდევნო წლებში მაჩვენებელმა თითქოს დაიკლო, თუმცა 2007 წლიდან კვლავ მოიმატა.

რა გზაა სუიციდამდე?

თვითმკვლელობის ბევრი შემთხვევა კრიზისის მომენტში იმპულსურად ხდება, როდესაც ადამიანი კარგავს უნარს — გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ სტრესულ სიტუაციებს, ფინანსურ პრობლემებს, ქრონიკულ ტკივილებს, ავადმყოფობას ან ახლობლებთან განშორებას. სუიციდური ქცევა ასოცირდება კონფლიქტებთან, სტიქიურ უბედურებებთან, იზოლაციის გრძნობასთან, დანაკარგთან. თვითმკვლელობა შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი მიზეზით, მათ შორის ყველაზე ხშირია დეპრესია ან ფსიქოზი, სირცხვილი, დანაშაულის განცდა, გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილი, ემოციური გადატვირთვა, აღელვება, ფინანსური პრობლემები. მაჩვენებელი მაღალია მოწყვლად ჯგუფეში, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან, ლტოლვილებსა და მიგრანტებში, ასევე პატიმრებში.

ჩვენ შეგვიძლია სუიციდის შეჩერება! უნდა მოხდეს ამ გლობალური პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სუიციდის პრევენციული ღონისძიებების შესახებ ცოდნის გაუმჯობესება, თვითმკვლელობასთან დაკავშირებული სტიგმის შემცირება და, რაც ყველაზე მთავარია, მხარდაჭერა. აგრძნობინეთ მათ, რომ ისინი მარტონი არ არიან! ამისთვის კი მხოლოდ 40 წამია საკმარისი! 40 წამი გულახდილი საუბრისთვის, 40 წამი ყურადღებისთვის, 40 წამი მხარდაჭერისთვის!“, — ასე დაასრულა თავისი გამოსვლა სტუდენტმა, რომლის პრეზენტაციის შემდეგაც გაიმართა დარბაზში არა თუ 40 წამიანი გულახდილი და მსგავსი პრობლემებით შეწუხებული საზოგადოების მხარდამჭერი დისკუსია, არამედ 2 საათიანი სერიოზული მსჯელობა.

კიდევ ერთი დისკუსია სუიციდზე — მკაფიო აქცენტები საზოგადოებისა და მედიის გასაგონად

„უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, სახელმწიფოსთვის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა პრიორიტეტი არ არის, რასაც დაკვირვებების საფუძველზე ვასკვნით. არაერთი სისტემური პრობლემა იკვეთება და მათ შორისაა საზოგადოების დაბალი ცნობიერება, რასაც ერთად უნდა ვებრძოლოთ როგორც ხელისუფლება, ასევე საზოგადოება და, რაც მთავარია, განსაკუთრებით აკადემიური და საგანმანათლებლო სფერო. ამისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი სტრატეგიის არსებობა, რომლის შემუშავების ვალდებულება მთავრობამ ჯერ კიდევ 2017 წლისთვის აიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, სტრატეგია ჯერ კიდევ არ გვაქვს. როგორც აქ აღნიშნეს, სუიციდის სტატისტიკა არის მზარდი და შემაშფოთებელი. ამას სჭირდება ერთობლივი ღონისძიებების სისტემატური გატარება, სადაც ადამიანების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება“, — განაცხადა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა რუსუდან კოხოძემ.

„ამ საკითხზე ბევრ ადამიანს, ბევრ ორგანიზაციას, ბევრ ინიციატივას, ბევრ ადამიანურ ენერგიას ვხედავ. ეს ენერგია ერთ ადგილას, ერთ ინიციატივაში, ერთ ორგანიზაციაში, ერთ ადამიანში, ერთ ადამიანურ ენერგიაში, ერთ ადამიანურ ენერგიულ ინიციატივაში, ერთ ადამიანურ ენერგიულ ინიციატივაზე ორიენტირებულ ორგანიზაცი

ეს საინტერესოა...

მითების მსხვრევის დღე

უნივერსიტეტმა მსოფლიოს გამოწვევებს ფსიქიატრიულ პრობლემებზე ექსპერტული ხედვებით უპასუხა

მე-3 გვერდიდან

მაციის სენსაციურობა, უარყოფითი ტონი და საკითხების გადაჭარბებული პოლიტიზირება.

სუიციდის გაშუქებისას კი მედია უამრავ ხარვეზს იჩენს, როგორც წყაროების არაკომპეტენტურობის (როდესაც ინფორმაციას ავრცელებენ ბუნდოვან და დაუსახელებელ წყაროზე დაყრდნობით), ასევე, მსხვერპლთა მაიდენტიფიცირებელი ნიშნების მხრივ (სიუჟეტებში გამოყენებული იყო მსხვერპლის ვინაობა, ასაკი, სურათები). გაშუქებისას ხშირია სუიციდის ადგილისა და დეტალების აღწერის შემთხვევები, რის გამოც შესაძლებელია, მედიის მხრიდან, ადგილი ჰქონდეს სუიციდის არაპირდაპირ წახალისებას. მედია კონტენტ ანალიზის მიხედვით, ნათესავები, ხშირ შემთხვევაში, ცდილობენ დაფარონ ოჯახის წევრების თვითმკვლელობის ფაქტი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ჩვენ არ გვაქვს სანდო ინფორმაცია — თუ რამდენი ადამიანი იკლავს თავს ჩვენთან, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია არაზუსტია. თუ არ გვეცოდინება შემთხვევის გეოგრაფიული ჭრილი, მეთოდი, ასევე, კონკრეტულად რამდენმა, რა სქესის და რა ასაკის ადამიანმა მოიკლა თავი, მაშინ პრევენციას ვერ მოვახდენთ. ვერც სპეციალისტები მოახდენენ მკურნალობისათვის სწორი პოლიტიკის დაგეგმვას. მაშინ როგორ მოიქცეს ჟურნალისტი, როგორ მოახერხოს სიმართლის საზოგადოებამდე მიტანა? ასე რომ, მხოლოდ ჟურნალისტები არ სცოდავენ... ჩვენ უნდა მოვთხოვოთ პოლიტიკოსებს, რომ პრობლემასთან ბრძოლისა და პრევენციის გეგმა შეიმუშაონ. ამიტომაც განსაკუთრებული ძალისხმევა გვმართებს. უნდა შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ჟურნალისტების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯანმრთელობის სპეციალისტების სწორ ცოდნასა და ნდობაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას უზრუნველყოფს", — აღნიშნა თიკო ცომაიამ.

პრობლემის მოგვარების გზების ძიება

მედიის განვითარების ფონდის წარმომადგენელი თამარ ხორბალაძე გამოეხმაურა ჟურნალისტების მისამართით გაჟღერებულ შენიშვნებს და განაცხადა: „ჟურნალისტს სწორი ხედვა, სწორი ინფორმაცია სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალი ჟურნალისტები ჩაერთონ დიალოგებში, იქნება ის დახურული თუ ღია, ოღონდ უნდა ითქვას სიმართლე. არ უნდა დაგვავიწყდეს კიდევ ერთი რამ: მედია უკვე აღარ

თამარ ხორბალაძე

ლაშა კილაძე

ნინო ოკრიბელაშვილი და გიორგი შარვაშიძე

არის პროდიუსერების მიერ კონტროლირებადი სივრცე, ჩვენ სოციალური მედიის ეპოქაში ვცხოვრობთ! იმას, რაც ითქმება, უკვე ვეღარ გააკონტროლებ... ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოების მოსამზადებლად სტრატეგიების შემუშავება, რათა ის მზად იყოს იმ ინფორმაციის მისაღებად, რომელიც სოციალური მედიიდან მოდის. ჩვენ ამ პრობლემას ერთობლივად უნდა მოვერიოთ", — აღნიშნა თამარ ხორბალაძემ.

მრგვალ მაგიდასთან შეხვედრაზე საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარემ ეკა ჭყონიამ ამავე საზოგადოების ინიციატივა გაამჟღავნა: „წელს, ევროპის ფსიქიატრთა ასოციაციამ შეიმუშავა სუიციდის პრევენციის გაიდლაინი, რომელიც ფართო საზოგადოებაზეა გათვლილი და შევეცდებით საზოგადოებას ის წლის ბოლომდე გავაცნოთ. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის კომპლექსური პროგრამა, ამიტომაც უნდა იყოს დასმული ყველა ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ამ პრობლემის დაძლევას. სუიციდის შემთხვევის დროს არ უნდა ვეძებოთ ერთი დამნაშავე, ერთი ფაქტორი, ერთი ადამიანი, რომელსაც ამ ტვირთს ავკიდებთ", — განაცხადა ეკა ჭყონიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ ნინო გვენეტაძემ სუიციდის თემაზე გამართული დისკუსია შეაჯამა და აღნიშნა: „აქ გამოთქმულ საინტერესო ინიციატივებს განხორციელება სჭირდება. სუიციდი საყოველთაო პრობლემაა და მის გადაჭრას კომპლექსური მიდგომა უნდა. მე მხარს გიჭერთ აქ დასმული ინიციატივების განხორციელებაში. სამართალიც, რომელიც ამ მიმართულებით მწირი დებულებებით შემოიფარგლება (სადაც ასეთი ფორმულირებაა — თვითმკვლელობამდე მიყვანა და თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობა), არ გამოიყურება ადეკვატურად იმ რეალობისა და იმ პრობლემებისა, რაც დღეს ჩვენს ირგვლივ ხდება. ამ მხრივ მრავალი ასპექტია გასათვალისწინებელი. ვფიქრობ, რომ ეს დისკუსია უნდა გაგრძელდეს. ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ წამოწყებებს, ინიციატივებს და მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ ფორმატში".

ასე რომ, უნივერსიტეტმა, რომელიც ყოველთვის უდებს სათავეს საზოგადოებისთვის მტკივნეული საკითხების წინ წამოწევას, ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას და ექსპერტულ მოსაზრებებს მოუყარა თავი შეხვედრაზე. დისკუსიის მნიშვნელობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმაც მიუთითა: „სუიციდის პრობლემა არის ურთულესი საკითხი. სოციუმში მისი წამოწევა და ამ თემაზე კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესი და აუცილებელია, რათა ამ უბედურების თავიდან აცილება შევძლოთ. ამ პრობლემებზე საუბრით და საზოგადოებრივი კონსესუსით არსებული სიტუაციის გაჯანსაღება უნდა შევძლოთ. იმედია, ეს პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი შეხვედრით და ამ თემებზე საუბარი მომავალშიც გაგრძელდება. საჭიროა, მოხდეს სტიგმების მოცილება და დეკონსტრუქცია იმისა, რაც ხდება. სერიოზული ძალებია ამ პროცესში ჩართული და დარწმუნებული ვარ, რომ მუშაობა შედეგს გამოიღებს", — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

როგორ აავადებს და უმახინჯებს ცხოვრებას ადამიანებს სტიგმები

ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე — ყოველ 10 ოქტომბერს საქართველოში 1993 წლიდან საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის, საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოებისა და ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უშუალო ინიციატივით აღინიშნება. სწორედ ამ დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდის ფორმატში, სუიციდის პრობლემის გარდა, დიალოგი გაიმართა სტიგმაზე, რომელიც ეხება პაციენტს და სპეციალისტს. თემის აქტუალიზაციის ინიციატორი კვლავ პროფესორი ნინო ოკრიბელაშვილი გახლდათ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა საკითხზე: სტიგმა და დისკრიმინაცია.

„2019 წლის 10 ოქტომბრის ძირითადი აქცენტები გადის სტიგმაზე, რომელიც ეხება არა მარტო პაციენტს, არამედ, სამწუხაროდ, სპეციალისტსაც. სტიგმა და დისკრიმინაციის ძირითადი მიზეზები მაინც არის ფსიქიკური აშლილობების მიმართ ცოდნისა და გაცნობიერების გამოხატული დეფიციტი; ასევე, ის ცრუ რწმენები და მითები, რომლებსაც თითოეული ჩვენთაგანი აწყდება პრაქტიკაში. მაგალითად, გავიხსენოთ შემთხვევა, როდესაც პაციენტი ექიმს მიმართავს დეპრესიის დაძლევისთვის მხოლოდ ბუნებრივი მცენარეული პრეპარატების გამოყენების ხარჯზე, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ექიმების მიერ გამოწერილი ანტიდეპრესანტები ტვინს „ახმობს". მითი, რომ მე ფსიქიკური დაავადება არასდროს დამემართება, აუცილებელია, რომ დაიმსხვრეს. ის სტიგმა, რომელიც ფსიქიკური აშლილობების მიმართ უცოდინარობის გამოხატულებაა, უნდა მოისპოს. კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველ მე-5 ადამიანს, დღეს, ცხოვრებისეულ რთულ მომენტში შესაძლებელია ჰქონდეს ფსიქიკური დაავადება. თქვენ შეიძლება არ გქონდეთ ფსიქიკური დაავადება, მაგრამ შესაძლებელია თქვენი უახლოესი გარემოცვა განიცდიდეს მსგავს გამოწვევებს. თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით გავაკეთეთ გამოკითხვა და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 56% თავს შეიკავებდა — საჭიროების შემთხვევაში ადამიანისთვის ერჩია ფსიქიატრისთვის მიემართა. მიზეზი კი, რატომაც არ ურჩევდნენ ფსიქიატრთან მისვლას, იყო ის, რომ მისი ავადმყოფობის საბაბი გახმაურდებოდა და შემდეგ საზოგადოება მას ცუდად მოეპყრობოდა ფსიქიკური სერვისების მოხმარების გამო. ასე რომ, დამოკიდებულება ჩვენს სოციუმში ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ აპათიურია. თითქმის 88 % ამბობდა, რომ თანაგრძნობას გამოიჩენდა ავადმყოფის მიმართ, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, ეს 87% ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვს იმ პაციენტისას, რომელმაც ფსიქიკური აშლილობის გამო ესა თუ ის ქმედება ჩაიდინა. სწორედ ეს 87% ითხოვს მათ სტაციონარებში გამოკეტვას და ამბობს, რომ მათი გარეთ გამოშვება და დეინსტიტუციონალიზაცია არის შეცდომა. გამოკითხულთა 22% ამბობს, რომ ასეთ ავადმყოფებს შვილის ყოლის უფლება უნდა ჩამოვართვათ. მეტსაც გეტყვით: სტიგმა ეხება არა მარტო დაწესებულებას, არამედ თვითონ ფსიქიატრებსაც კი. 31% ფიქრობს, რომ ფსიქიატრი ნიშნავს მის მიერ ისეთი მედიკამენტის დანიშვნას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური დაავადება ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანში, ხოლო 40% დარწმუნებული არაა — რამდენად სანდო დანიშნულება დაწერა ექიმმა", — აღნიშნა ნინო ოკრიბელაშვილმა, რომელმაც დისკუსიის მონაწილეებს კვლევის შედეგები ვიზუალურადაც გააცნო.

ფსიქიატრმა ახალი თემაც წამოწია და შეეხო მედიის როლის გაზრდას საზოგადოების ატიტუდების შეცვლაში. „მინდა, გაჩვენოთ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც 2015-2020 წლებისთვის იყო შემუშავებული და რომლის ავტორიც არის ქალბატონი ეკა ჭყონია. ამ გეგმაში არის ასეთი მუხლი, რომ ჩვენთვის მორალური იმპერატივი უნდა გახდეს დისკრიმინაციასთან, სტიგმასთან და სოციალურ იზოლაციასთან ბრძოლა. ჩვენ, ძველი ფსიქიატრები ვხმარობთ ტერმინს — „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები"... დიახ, ესენი არიან ფსიქო სოციალური საჭიროებების ადამიანები და რაც უფრო მოვახდენთ ამ ტერმინოლოგიის ნეიროლინგვისტურად გადაწყობას, მით უფრო შეეწყობა ხელი სტიგმების შეჩერებას და დანგრევას. საზოგადოება, სადაც ნაკლებია სწორედ ეს სტიგმები, დისკრიმინაცია და ბევრია ფსიქოლოგიურად აშლილ პირთა მიმღებლობა, მით უფრო ჯანმრთელია და სამართლიანია. ამ მხრივ, ცნობიერების ასამაღლებლად გვჭირდება მთელი სა-

გვ. 5

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ...

ᲛᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲮᲔᲓᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ

მე-4 გვერდიდან

ზოგადოების, მედიის მხარდაჭერა, სოციალური მარკეტინგი. ჩვენი მიზანია შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში, რაც მოემსახურება სხვადასხვა საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებას, თუნდაც, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის ამაღლებას. აუცილებელია, რა თქმა უნდა, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების უფლებების დაცვა და ამ თემებზე ღია დიალოგი. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს საექიმო შეცდომების გაშუქებისაც, მაგრამ საექიმო შეცდომა დანაშაული არ არის! შესაბამისად, აქაც უნდა გავავლოთ გარკვეული ხაზი. ყოველთვის, როდესაც საექიმო შეცდომა დანაშაულადაა აღქმული, ეს უფრო მეტად აძლიერებს სტიგმას და დისკრიმინაციას“, — ასეთი გახლავთ ნინო ოკრიბელაშვილის პოზიცია, რომელმაც ამ მეტად აქტუალურ თემაზეც გახსნა დისკუსია და ყველა გამომსვლელს მისცა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი, რაც უნდა მწვავე ყოფილიყო ის.

მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელმა ლაშა კილაძემ, რომელმაც აღნიშნა: „დღეს, სხვადასხვა გათვლით, კაცობრიობის 6% გადაუდებელ ფსიქოლოგიურ დახმარებას საჭიროებს. ეს თემა ნამდვილად მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა. ამდენად, ამ პრობლემასთან გამკლავება შეუძლებელია მხოლოდ ერთი ინსტიტუტით ან ადამიანთა ერთი ჯგუფით. ნორმალური სახელმწიფო ორიენტირებულია სწორედ მოწყვლადი რგოლების გაფრთხილებით და მის ხელშეწყობასა და მფარველობაზე ზრუნავს. ნებისმიერი წარმატება ამ საკითხში გამორიცხულია სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვისა და სოლიდარობის განცდის გარეშე. ამ სფეროში განათლება, ტაბუს არარსებობა, მასმედიისა და აკადემიური წრეების ღია, საჯარო ჩართულობა არის ერთადერთი სწორი გზა, საითკენაც უნდა მიდიოდეს საზოგადოება“, — განაცხადა ლაშა კილაძემ.

მედიაფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ გერსამია დისკუსიაში სწორედ თავისი პროფილით ჩაერთო და დამსწრე საზოგადოებისთვის, ალბათ, უფრო ცხადი გახდა იმ სასწავლო პროგრამის მნიშვნელობა, რასაც იგი ხელმძღვანელობს. აქცენტები, რომელიც პროფესორმა დასვა, პრაქტიკული გამოცდილებითაცაა ნაკარნახევი, რადგან მარიამ გერსამია რამდენიმე წლის წინ ჟურნალისტიკის მიმართულებას ხელმძღვანელობდა თსუ-ში: „ჟურნალისტებს უხდებათ სტრესულ გარემოში მუშაობა და არ აქვთ ცოდნა — თუ როგორ გაუმკლავდნენ მას კრიზისული სიტუაციების გაშუქებისას, ტრავმირებულ ადამიანებთან ურთიერთობისას. ისინი ამ დროს თვითონაც ისტრესებიან. ჩვენ აღარ უნდა მოვახდინოთ რეტრავმატიზაცია იმ ადამიანებისა, ვისაც ეს ტრაგედია შეეხო. ამ მხრივ ჟურნალისტების განათლება და მომზადება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა ყურადღება გავამახვილო ჟურნალისტიკის ახალ მიმართულებაზე — პროსოციალური მედიის შექმნა და პოპულარიზაცია არის მნიშვნელოვანი. ანტისოციალურ მედიას, სადაც წინა პლანზეა ნეგატიური ქცევები, აგრესია, ძალადობა და ა.შ., შეუძლია საზოგადოების გარკვეული აგრესია გამოიწვიოს. ემპათიის, სოლიდარობის ჩვენებას მედიის საშუალებით ასევე შეუძლია გამოიწვიოს მეტი სოლიდარობა, მეტი ემპათია. ჩვენ თუ ზუსტად ვაჩვენებთ ფრეიმებს — თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა მას გარკვეული ტრავმა აქვს, მიბაძვა აქაც იმუშავებს. მედია ხშირად გვაჩვენებს პრობლემას, მაგრამ არ გვაჩვენებს ამ პრობლემიდან გამოსვლის გზებს. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია მიხმარება მომხმარებლისთვის და ამ საქმეში აკადემიური წრეების როლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აუცილებელია მედიაწიგნიერება სკოლებში. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაც ამ მხრივ ყველას მოგვეხმარება“, — აღნიშნა მარიამ გერსამიამ.

* * *

მსოფლიო ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დისკუსია — „ფსიქიკური ჯანმრთელობა და საზოგადოება“ — თსუ-ის რექტორის მოადგილემ ნინო ოკრიბელაშვილმა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მესიჯებით დაამთავრა: „ჩვენ შეგვიძლია სუიციდის შეჩერება, ამისთვის 40 წამიც საკმარისია. 40 წამი გულახდილი საუბრისთვის, 40 წამი ყურადღებისთვის, 40 წამი ინფორმაციის გასაცემად, 40 წამი მხარდაჭერისთვის. ყველამ ერთად შევაჩეროთ სუიციდი!“

ამავე ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტთა ნახატების გამოფენა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით, ასევე, დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა მხარდასაჭერად. კვირეული დაიხურა 10 ოქტომბერს აქციით — „ჩვენი თვალებით“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა ასფალტზე ხატვის და არტ თერაპიის ღია გაკვეთილი ცენტრის ბენეფიციარების მონაწილეობით.

მარიამ გერსამია

„ურჩევდით თუ არა ახლობელს, საჭიროებისას მიმართოს ფსიქიატრს?“



ახლობელს არ ურჩევს, საჭიროებისას მიმართოს ფსიქიატრს, რადგან...



არსებობს თუ არა ქართველ ფსიქიატრთა არსენალში ისეთი წამლები, რომელთა გამოყენებაც ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანში ფსიქიკური დაავადების განვითარებას გამოიწვევს?



დამოკიდებულება ავადმყოფის მიმართ



მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019

ალექსანდრე დვალის საჯარო ლექცია – „როგორ ავაწყვე ტელესკოპი“

საქართველოს ასტრონომიის კლუბისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ორგანიზებით, 18 სექტემბერს, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ასტრონომიის კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის ალექსანდრე დვალის საჯარო ლექცია — „როგორ ავაწყვე ტელესკოპი“ გაიმართა, სადაც მან ისაუბრა იმაზე, თუ როგორ ააწყო საკუთარი ხელით ტელესკოპი.

ალექსანდრე დვალს ტელესკოპის დამზადების იდეა საზოგადოებრივ-შემეცნებით ჯგუფში გაწევრიანების შემდეგ გაუჩნდა.

„ასტრონომიული ობიექტების შესასწავლი მთავარი ინსტრუმენტი ტელესკოპია. ჩვენს დროში ნებისმიერი სახის ტელესკოპის ყიდვა შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, მოგვიწევს შეგუება იმ აზრთან, რომ ისინი ხშირად წარმოუდგენლად ძვირია. ერთი რამ კი შეიძლება აღინიშნოს, რომ ნებისმიერ მოყვარულს, მცირეოდენი მონდომებისა და ძალდატანების ფასად, შეუძლია თავისი ხელით დაამზადოს და ააწყოს საკმაოდ კარგი თვითნაკეთი მოდელის ტელესკოპი“, — განაცხადა ალექსანდრე დვალმა.

მან ტელესკოპის დეტალების წინასწარი სამგანზომილებიანი მოდელირება კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით მოახდინა. ტელესკოპის ყველა დეტალი (გარდა დიდი პარაბოლური სარკისა) საკუთარი ხელით დაამზადა, რომელიც დიდ შრომასა და დროს მოითხოვს. „საქართველოში არ იყო დიდი პირველადი პარაბოლური სარკის დახეხვისა და დაფენის საშუალება, რის გამოც იძულებული ვიყავი, ის ინტერნეტის მეშვეობით გამომეწერა. ყველა სხვა დეტალი საკუთარი ხელით დავამზადე. ტელესკოპის დობსონისეული სადგარი მხოლოდ დაკვირვებისთვის გამოიყენება. საკუთარი ხელით დავამზადე გერმანული ტიპის ეკვატორული სადგარიც და დავაპროგრამე მისი მიდევნების სისტემა, რომელიც დედამიწის ბრუნვასთან ერთად ციურ ობიექტებს მიყვება. კოდი თვითონ დავწერე, რაც საშუალებას იძლევა, რომ არა მარტო ვარსკვლავები, არამედ მთვარე და პლანეტებიც გადავიღოთ“, — აცხადებს მხატვარ-დიზაინერი და მოყვარული ასტრონომი.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითნაკეთი ტელესკოპი ალექსანდრე დვალის ერთადერთი შემოქმედება არ არის. მან, ასევე, საკუთარი ხელით დაამზადა საველე პირობებში ლექციის წასაკითხად საჭირო ეკრანი და „ასტრო-სკამი“, რომელიც პატარა ასტრო-მოყვარულებს და ღონისძიებების სტუმრებს ტელესკოპში მოხერხებულად და უსაფრთხოდ ჩახედვის საშუალებას აძლევს.

ტელესკოპმა მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. საჯარო ლექციაზე წარმოდგენილი ტელესკოპი დასტურია იმისა, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა, თუ მისი მიზანდასახულობა ისეთივე ძლიერია, როგორც ოცნების ახდენისა და ახლის შექმნის სურვილი.

ღია კარის დღე

„სახალისო მეცნიერება“ სკოლის მოსწავლეებისათვის

19 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბავშვო უნივერსიტეტმა“ ღია კარის დღის ფორმატში სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. სკოლის მოსწავლეებმა იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებში მიიღეს მონაწილეობა და თსუ-ის ზოოლოგიისა თუ მინერალოგიის მუზეუმების საინტერესო ექსპონატები დაათვალიერეს. თსუ-ის ზოოლოგიურმა მუზეუმმა გამოფენაზე წარმოადგინა ისეთი საინტერესო ექსპონატები, როგორიცაა: მაკაკა რეზუსი, რომელიც თურმე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ზოოლოგიური მუზეუმის სპეციალისტის მზია ჯაველიძის ინფორმაციით, სწორედ ამ სახელით არის წარმოდგენილი მედიცინაში რეზუს ფაქტორი. „მაკაკას ამ სახეობაზე ჩატარდა ცდები, რამაც მიიყვანა მეცნიერები იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი სისხლი არ არის ერთგვარი და ერთმანეთისგან გარკვეული მონაცემებით განვსხვავდებით. ამიტომ, როდესაც არის სისხლის გადასხმის აუცილებლობა, სწორედ ეს ფაქტორია გასათვალისწინებელი“, — აუხსნა მზია ჯაველიძემ სკოლის მოსწავლეებს. მუზეუმების დათვალიერების გარდა, მოსწავლეებისთვის თსუ-ის სტუდენტებმა და პროფესორებმა ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში სახალისო ცდები/ექსპერიმენტები ჩაატარეს, რითაც სკოლის მოსწავლეები მოხიბლულნი ჩანდნენ.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ მიერ ღია კარის დღის ფორმატში გამართულ ღონისძიებას — „სახალისო მეცნიერება“ — სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და პროფესორებთან ერთად თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილიც ესწრებოდა. მისი თქმით, სახალისო მეცნიერება მომავალი თაობის კვლევებში ჩართვასა და ახალი აღმოჩენების გაკეთებას შეუწყობს ხელს.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტრადიციულად კვლავ მასპინძლობს. ჩვენი მიზანია, მომავალი თაობის დაინტერესება არა მარტო სასწავლო პროცესით, არამედ სამეცნიერო კვლევების მიმართულებითაც, რაც მათ, შემდგომში, პროფესიის პოვნაში დაეხმარებათ. დღევანდელი ღონისძიება კი გარკვეულ სტიმულს მისცემს ახალგაზრდობას — თავისი ბედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუკავშიროს“, — განაცხადა ნინო ოკრიბელაშვილმა.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელის მარინე ლომოურის თქმით, „სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ყოველი ღონისძიება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ვაჩვენოთ მათ, რამდენად საინტერესო სტუდენტური ცხოვრება ელით, რამდენი საინტერესო რამ არის გასაკეთებელი და აღმოსაჩენი. დღეს, როდესაც მეცნიერების მიმართ ინტერესი თითქოს განელებულია, ყოველი ასეთი ინიციატივა მნიშვნელოვანია. სინამდვილეში, მეცნიერების გარეშე არც წინსვლა, არც პროგრესი და არც ტექნოლოგიური განვითარება არ შეიძლება. ამ შეხვედრებით გვინდა, რომ მოზარდ თაობას ვუთხრათ — კვლევა და მეცნიერება ძალიან საინტერესოა“.

ღონისძიების დასასრულს თსუ-ის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერთანამშრომელმა, პროფესორმა თორნიკე ქადეიშვილმა საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „მათემატიკა ყველგან“.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019

ქართველური ენათმეცნიერების V ტომის პრეზენტაცია

23 სექტემბერს, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით, ახლად გამოცემული ქართველური ენათმეცნიერების V ტომის პრეზენტაცია გაიმართა. კრებული უნივერსიტეტის 100 წლისთავს მიეძღვნა. პრეზენტაცია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა რამაზ ქურდაძემ გახსნა, რომელმაც ფესტივალის მნიშვნელობაზე და კრებულის შინაარსზე ისაუბრა. „მისასალმებელია, რომ ამგვარი ღონისძიება საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად იმართება და მასში აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრები. მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ფესტივალის ფარგლებში, საინტერესო სიახლეებით წარსდგება აკადემიური საზოგადოების წინაშე“, — აღნიშნა რამაზ ქურდაძემ.



დარეჯან თვალთვაძე

თსუ-ის პროფესორის, კრებულის რედაქტორის დარეჯან თვალთვაძის ინფორმაციით, ქართველური ენათმეცნიერების V ტომის პრეზენტაცია წელს კიდევ ერთ საიუბილეო თარიღს დაემთხვა: „აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში გამოცემული პირველი სამეცნიერო კრებულის პირველი პერიოდული გამოცემიდან 100 წელი გავიდა. ეს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ იყო, რომლის გამოცემის ასწლოვანი ტრადიცია დაიწყო უნივერსიტეტის დაარსებიდან. 1918 წელს დაარსებულმა უნივერსიტეტმა ერთ წელიწადში ბევრი რამ მოასწრო, თუნდაც ის, რომ 1919 წლის 9 აპრილის სხდომაზე საგანგებოდ განიხილეს საკითხი პერიოდული სამეცნიერო ორგანოს დაარსების შესახებ. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ პირველ სამეცნიერო გამოცემას „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ დაერქმეოდა. სარედაქციო კოლეგიის წევრები კი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც შექმნეს არა მარტო ეს უნივერსიტეტი, არამედ მთელი ქართული მეცნიერება: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე და სპირიდონ ვირსალაძე, რომლებსაც დაევალათ პირველი ნომრის მომზადება. ძალიან მალე, 1919 წელსვე გამოიცა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ პირველი ნომერი, რომელშიც თავი მოიყარა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პროფესორთა და თანამშრომელთა ნაშრომებმა, 1922 წელს მალევე გამოვიდა მეორე ნომერიც, რომელიც უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა. ამასთან, კრებულში სხვა დარგებიც იყო წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1919 წლიდან 2019 წლამდე სამეცნიერო კრებულები გამოდიოდა უწყვეტად, სხვადასხვა სახელწოდებით. 1919-დან 1930 წლამდე მას „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ ერქვა, ხოლო 1936 წლიდან „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ დაერქვა. 1938 წლიდან 1998 წლამდე ამ გამოცემას ერქვა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“. 30-იანი წლებიდან იწყება დარგების მიხედვით ცალკეული ნომრების გამოშვება, რადგან იმდენად მრავალფეროვანი იყო შრომები, რომ დარგობრივად დაიწყო გამოცემა. 1998 წლიდან, მას მერე, რაც უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა, შრომების კრებულების დასახელებაც შეიცვალა და „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ ეწოდა. XX საუკუნის შუა წლებში, 1944 წლიდან აკაკი შანიძემ ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემა დაიწყო, 1955 წელს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით დაარსდა სერია სამეცნიერო გამოცემისა — „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, სადაც საინტერესო და მნიშვნელოვანი სტატიებია შესული. 2010 წლიდან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცემა კრებულები „ქართველური ენათმეცნიერება“, რომლის V ტომი უნივერსიტეტის დაარსების მე-100 წლისთავს მიეძღვნა“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

ახალ კრებულში (რედაქტორები: დარეჯან თვალთვაძე, რამაზ ქურდაძე, პასუხისმგებელი მდივანი: რუსუდან მზექალაშვილი) 15 სამეცნიერო ნაშრომია დაბეჭდილი ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის, თსუ-ის პროფესორების — კახა გაბუნიას, ქეთევან დათუკიშვილის, რუსუდან მზექალაშვილის, დარეჯან თვალთვაძის და დოქტორანტ ეკა კვირკველიას ერთობლივი სტატია; ქეთევან მარგიანის, მერი ნიკოლეიშვილის, ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილის, სალომე ომიაძის, ინგა სანიკიძის, რამაზ ქურდაძის და ნინო შარაშენიძის, ასევე, დოქტორანტების: სალომე გეგეჭკორის, ლიკა შონიას, მაია მადუაშვილის, მაგული ღამბაშიძის, თამარ ჩანქსელიანის და გიორგი ჯღარკავას სტატიები.

ღია კარის დღე მულტიმედია ცენტრში

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრში ღია კარის დღე გაიმართა. თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები ცენტრის სასწავლო პროგრამას, მოქმედ პროექტებსა და, ზოგადად, იმ გარემოს გაეცნენ, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალ ჟურნალისტებს ამზადებს. ღია კარის დღის ფარგლებში მოეწყო ჟურნალ „გზავნილის“ ნომრების გამოფენა, რომელსაც სტუდენტები სასწავლო კურსის „ბეჭდური მედია — პრაქტიკუმის“ ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მაია ტორაძის ხელმძღვანელობით გამოსცემენ. ჟურნალში მოცემულ სტატიებში სტუდენტები სხვადასხვა რეგიონებში არსებულ ვითარებაზე წერენ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სტუდენტების მიერ გადაღებული ფოტოებიც.

„ჩემს მოსწავლეებთან ერთად მოვედი, რათა მათ საუნივერსიტეტო გარემო გავაცნო. ამ უნივერსიტეტისგან ტრადიციულ ღირებულებებზე დამყარებულ, ინოვაციური მეთოდებით სწავლებას ველით. მეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ და არ ვიქნები სუბიექტური, თუ ვიტყვი, რომ თსუ პირველი უნივერსიტეტია საქართველოში“, — გვითხრა თბილისის №72 საჯარო სკოლის პედაგოგმა ირმა კაკუშაძემ.

მოსწავლეებს მულტიმედია ცენტრში არსებული ტელე-სტუდია, სამონტაჟოები, ტექნიკური აღჭურვილობა და ზოგადი გარემო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა თამარ ბელქანიამ გააცნო.

„მულტიმედია ცენტრი სტუდენტებისთვის მულტიმედიური განათლების მიცემას გულისხმობს. თანამედროვე ეპოქა თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნას მოითხოვს და ჩვენი მედიასკოლა ამ გამოწვევას თავისუფლად პასუხობს. გამოვფინეთ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ჟურნალები, რომელსაც სტუდენტები ამზადებენ. ისინი იღებენ ფოტოებს, აკაბადონებენ ჟურნალებს, წერენ წერილებს, მუშაობენ რედაქტორის სვეტზე. მომავალი ჟურნალისტები სწავლობენ ფოტოს გადაღების კულტურასაც და ღია კარის დღეზე წარმოდგენილი ფოტოები ამის დასტურია. გვაქვს ე.წ. ნიუსრუმი, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი ახალი ამბების მოსამზადებლად. მოქმედებს საეთერო, 3 სტაციონარული და გადაღებაზე გასატანი რამდენიმე ვიდეოკამერა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ ჟურნალისტები თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებასაც იღებენ, რაც თანამედროვე მედიაბაზარზე არსებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს“, — განაცხადა თამარ ბელქანიამ.

ღია კარის დღეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეც ესწრებოდა. თეონა მატარაძემ იმედი გამოთქვა, რომ მულტიმედია ცენტრში არსებული გარემო მოსწავლეებს ჟურნალისტის პროფესიით უფრო მეტად დაინტერესებთ და სწავლის გასაგრძელებლად არჩევანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეაჩერებენ.

თამარ ბელქანია

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სიახლეები

თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ფესტივალის ფარგლებში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა.

23 სექტემბერს ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საინსტიტუციო პროდუქციის გამოფენა-წარდგენა გაიმართა. მეცნიერის ხსოვნას მიეძღვნა, ასევე, სიმპოზიუმი, სადაც წარმოდგენილი იყო აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თხზულებათა მე-13 და მე-14 ტომები. გაიმართა „არნოლდ ჩიქობავას საკითხავების“ 29-ე კონფერენცია, ინსტიტუტის 77-ე სამეცნიერო სესია და 38-ე რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია.

* * *

23 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოგრაფიული პროდუქციის გამოფენა და პრეზენტაცია გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერეიდნული, იმერული, თუშური დიალექტების კორპუსული ლექსიკონები, ქართულ-აფხაზურ-ინგლისური, ქართულ-ოსურ-ინგლისური სიხშირული ლექსიკონები, სვანური და ლაზური ლექსიკონები, ჩერქეზული, ბეჟიტური, უდიური, ლაიჯური, ბასკური ლექსიკონები.

ეს ლექსიკოგრაფიული საგანძური 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისათვის მომზადდა.

როგორც პროექტის ავტორმა და ხელმძღვანელმა, თსუ-ის ფილოლოგიის დოქტორმა მარინა ბერიძემ აღნიშნა, ლექსიკონები არის ის მცირე ნაწილი იმ დიდი პროექტისა, რომელიც 2016 წელს შეიქმნა „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის“ სახელით.

„ლექსიკონების შექმნის იდეა მაშინ გაგვიჩნდა, როცა ფრანკფურტის ბაზრობაზე ქართული ენისა და კულტურის ღირსეულად წარმოჩენისთვის მზადება დავიწყეთ. იდეის განსახორციელებლად თანამონაწილეობა გოეთეს უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორს მანანა თანდაშვილს შევთავაზე. ლექსიკონების კონცეფცია და პროექტი სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შემუშავდა, რომელიც მოიწონეს და ბაზრობამდე დარჩენილ უმოკლეს პერიოდში დავიწყეთ მისი განხორციელება. შეიკრიბა მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში მე და ჩემი კოლეგა — კავკასიის ავტოქთონურ ენათა ცნობილი მკვლევარი მერაბ ჩუხუა ჩავუდექით. ამ პროექტის მიხედვით გვინდოდა გვეჩვენებინა საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნება, სადაც მაქსიმალურად იქნებოდა წარმოდგენილი როგორც ქართველური, ისე ის კავკასიური ენები და დიალექტები, რომელსაც საქართველოში ვხვდებით. ამ კონცეფციიდან გამომდინარე დავიწყეთ ავტორების მოძიება. ამ პროექტის განხორციელება, ერთი შეხედვით, შეუძლებელი იყო, რადგან ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი ფრანკფურტის ბაზრობამდე. დაძაბულ და რთულ რეჟიმში მოგვიწია მუშაობა. საბოლოოდ, 12 ლექსიკონი გამოვეცით, აქედან 5 ლექსიკონის ავტორი მე გახლავართ.

უმთავრესი მოთხოვნა იყო — არ მომხდარიყო უკვე არსებული ლექსიკონების გამეორება, არსებითად უნდა შეცვლილიყო მასალის წარმოდგენის ტიპიც. ლაზური და სვანური ლექსიკონი სრულიად ახალია. ისინი პირველად გამოიცა. ლექსიკონები შეივსო დიდი რაოდენობის ახალი სიტყვებით და ინფორმაციულად უფრო დატვირთული გახდა. აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა სასწავლო ლექსიკონებზეც. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 20 ასეთი ლექსიკონის შექმნა. ჯერჯერობით, მხოლოდ 2 ასეთი ლექსიკონი გამოვეცით — აფხაზურ-ქართულ-ინგლისური და ოსურ-ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, მაგრამ შევძელით შეგვექმნა ის ინსტრუმენტი და კონცეფცია, რომლის მიხედვითაც დანარჩენი ლექსიკონები მომზადდება. ლექსიკონები შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ამისათვის კი საკმაოდ დიდი შრომა გავწიეთ“, — განაცხადა პროექტის ავტორმა მარინა ბერიძემ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ლექსიკონების ავტორებს, კოლეგებს პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.

პრეზენტაციაზე ლექსიკონების შესახებ ისაუბრეს, აგრეთვე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ნანა მაჭავარიანმა, ლექსიკონების ავტორებმა და შემდგენლებმა.

პრეზენტაციას თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გაუწია ორგანიზება.

* * *

24 სექტემბერს გაიმართა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფიების) გამოფენა, სადაც თსუ-ის პროფესორებმა თავიანთი მოხსენებები წარმოადგინეს: „აფხაზური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო. გრამატიკული მიმოხილვა. ტექსტები. ლექსიკონი“. (ნანა მაჭავარიანი, რიტა ამიჭბა-მარღანია), „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი ინდექსითა და გრამატიკული მიმოხილვით“ (ნანა მაჭავარიანი), „კავკასიური იდენტობის გამარჯვება“ (ავთანდილ არაბული), „მეცნიერი და მასწავლებელი — არნოლდ ჩიქობავა“ (თამარ ბეროზაშვილი), „წინადადების წევრთა სინტაგმატიკის საკითხი ქართულში“ (თეა ბურჭულაძე), ...ადამიანი მიდის, საქმე-ნამოქმედარი რჩება“ (გუჩა კვარაცხელია), „სახელურ ომონიმთა ისტორია ქართულში“ (ნინელი ჭოხონელიძე), „ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობიდან“ (რუსუდან რამიშვილი).

* * *

25 სექტემბერს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია — „ქართული ტერმინოლოგია დღეს“. ღონისძიების ფარგლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ლია ქაროსანიძემ საჯარო ლექცია წაიკითხა. მან განიხილა ქართული ტერმინოლოგიის კვლევისა და შესწავლის საკითხები, თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის სირთულეები, ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და სამომავლო გეგმების ჩამოყალიბების აუცილებლობა.

* * *

25 სექტემბერს გაიმართა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ვებ-გვერდის წარდგენა, სადაც ამავე განყოფილების ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თამარ ვაშაკიძემ საზოგადოებას წარუდგინა განყოფილების ვებ-გვერდი, გააცნო მისი დაფუძნების მიზანი და ამოცანები, ვებ-გვერდის პროგრამული თავისებურებები, საძიებო ერთეულები (ისტორია, ელექტრონული ლექსიკონები, გამოცემები, ქრონიკა).

ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა

27 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ეკა ვარდოშვილის წიგნის — „ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა“ — პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, მონოგრაფიაში წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვან არგუმენტაციაზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ ქართული კულტურა ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილია და რომ XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები ჩართულნი იყვნენ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში, რომლის განვითარებაშიც თავიანთი წვლილი შეიტანეს. მონოგრაფიაში ასახული კვლევა სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-ევროპული ლიტერატურული ტენდენციების ტიპოლოგიური კვლევის პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს. წიგნი გამიზნულია ლიტერატურათმცოდნეებისთვის, ასევე, საუნივერსიტეტო სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ეკა ვარდოშვილი

აღსანიშნავია, რომ წიგნი წარმოდგენილი იყო 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე. წიგნის ავტორის ეკა ვარდოშვილის თქმით, ნაშრომის მიზანი იყო ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობების ახალი შტრიხების გამოვლენა, რაც დღეს ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით“.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ – 2019

ᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲜᲢᲗᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ

23 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მაგისტრანტთა კვლევების პრეზენტაცია გაიმართა. მაგისტრანტებმა აუდიტორიას ის ნაშრომები წარუდგინეს, რომელზეც სასწავლო პროცესში იმუშავეს. კვლევების თემატიკა მრავალფეროვანი იყო და ფაკულტეტის ყველა მიმართულებას მოიცავდა.

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მაგისტრანტმა ნიკა გიგაურმა საზოგადოებას გააცნო კვლევა „სახელმწიფოს როლის გაგება თანამედროვე ქართულ პარტიულ სპექტრში“. კვლევის მიზანი იყო, დადგენილიყო — თუ რამდენად განსაზღვრავს საქართველოში არსებული საპარლამენტო პარტიების იდეოლოგიური მიკუთვნებულობა მათ მიერ სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების აღქმას. მკვლევარმა შეისწავლა საპარლამენტო პარტიების 2012-2016 წლების წინასაარჩევნო პროგრამები და დაადგინა, თუ როგორ აღიქვამენ თანამედროვე ქართული საპარლამენტო პარტიები სახელმწიფოს იდეას, რა როლს უნდა ასრულებდეს სახელმწიფო საზოგადოებისა და ინდივიდის ცხოვრებაში. შედარებითი ანალიზის მეთოდით კი გამოარკვია, როგორ ცვლიან პარტიები პოზიციებს წლების მიხედვით.

როგორც ნიკა გიგაურმა აღნიშნა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა ხუთი ძირითადი საკითხი, რომელთა ირგვლივაც გაანალიზებულია პარტიების დამოკიდებულება სახელმწიფოს როლისა და ფუნქციებისადმი. ეს საკითხებია: საზოგადოების უსაფრთხოება და თავდაცვა; სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები; სახელმწიფოს სოციალური როლი და ფუნქციები; სახელმწიფოს როლი განათლებაში, კულტურასა და სპორტში; სახელმწიფოს როლი ინდივიდის ცხოვრების სხვა სფეროებში.

* * *

ანა ასათიანისა და ჯილდა თირქიას კვლევაში — „მიღებული განათლების დონის/ხარისხისა და დასაქმების შესაძლებლობების შესაბამისობა საქართველოს შრომის ბაზარზე“ — გაანალიზებული იყო უმუშევრობის პრობლემა საქართველოში. მათი თქმით, უმუშევრობასთან ბრძოლა დასაქმების პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. „საქართველოს შემთხვევაში, უმაღლეს განათლებას, როგორც სამეცნიერო ხარისხს, თავისი მნიშვნელობა აქვს დაკარგული, რადგან ისეთ პოზიციებზეც კი, როგორიცაა რომელიმე სატელეკომუნიკაციო კომპანიის ოპერატორობა, მოითხოვენ უმაღლესი განათლების დიპლომს. ეს პრაქტიკა კი ისედაც უმუშევრობით შეშინებულ ხალხს აიძულებს ორიენტირდნენ მხოლოდ უმაღლესი განათლების მიღებაზე, არა იმიტომ, რომ მათ ეს რეალურად უნდათ და აინტერესებთ, არამედ იმისთვის, რომ დიპლომის აღების შემდეგ დასაქმდნენ ნებისმიერ ადგილას, თუნდაც ეს იყოს მათი პროფესიისათვის შეუსაბამო პოზიცია“, — აღნიშნეს მომხსენებლებმა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს შრომის ბაზარი ხასიათდება მიღებული განათლების დონის/ხარისხისა და დასაქმების შესაძლებლობების შეუსაბამობით. გამოცხადებულ ვაკანსიათა უმრავლესობაში პრიორიტეტი უმაღლესი განათლების მქონე აპლიკანტებს ენიჭებათ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში სამუშაო პოზიციები არ საჭიროებენ უმაღლესი განათლების მქონე პირებს. დამსაქმებლები არ უზრუნველყოფენ აპლიკანტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო პირობებით. კვალიფიკაციასთან შეუსაბამო პოზიციებზე დასაქმება განპირობებულია მაღალი ანაზღაურებით და/ან გამოცხადებულ ვაკანსიათა ერთფეროვნებით. დაუსაქმებელი რესპონდენტების შემთხვევაში, მათი უმუშევრობა განპირობებულია შემოთავაზებული სამუშაო პოზიციების შეუსაბამობით მათ კვალიფიკაციასთან.

* * *

ანი ჩუბინიძის ნაშრომში — „ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების შედარებითი ანალიზი (ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდი და თანამედროვე ეპოქა)“ — გაანალიზებული იყო ბასკური და კატალონიური სეპარატისტული ნაციონალიზმების გამომწვევი მიზეზები და მათ შორის საერთო მიზნის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის არსებობა/არარსებობა პოლ ბრასის ინსტრუმენტალიზმის, სტუარტ კაუფმანის შიდა-ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიისა და შედარებითი ანალიზის ჭრილში.

* * *

მაგისტრანტმა დავით კვარაცხელიამ აუდიტორიას წარუდგინა კვლევა — „ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი ასპექტები სამეგრელოს რეგიონში“. ნაშრომში აღწერილია ის პროცესები, რაც ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ საკვლევ არეალში, კერძოდ, მარტვილისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს. ნაშრომში განხილული იყო ის ძირითადი თეორიები, რომლებიც აკავშირებენ ერთმანეთთან ტურიზმსა და ეკონომიკურ განვითარებას, ტურიზმსა და მდგრადობის პრინციპებს, რეგიონულ ტურიზმსა და ლოკალური მოსახლეობის კეთილდღეობას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ, ამ ეტაპზე, საკვლევ არეალში ტურიზმის განვითარებამ ნაკლებად მოიტანა დადებითი შედეგი ლოკალური მოსახლეობისთვის. ეს განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. ამასთანავე, გამოიკვეთა ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ტურიზმის მიმართულებით მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მდგრადი განვითარების პრინციპებს.

* * *

აუდიტორიის დაინტერესება გამოიწვია მაგისტრანტ მარიამ ჯაიანის კვლევამ — „დასაქმებული მშობლების დროის მენეჯმენტი და შვილებთან კომუნიკაცია“. ნაშრომში თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა სამეცნიერო თვალსაზრისითაა შესწავლილი. „დღესდღეობით ცხოვრების ტემპი საგრძნობლად აჩქარებულია და, შესაბამისად, დასაქმებულ ადამიანებს უმეტესი დროის გატარება უწევთ სახლის გარეთ, სამუშაო ლოკაციებზე. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა დასაქმებული მშობლების ურთიერთობა შვილებთან, დაგვეზუსტებინა ბავშვებისთვის გამოყოფილი დროის ოდენობა და კომუნიკაციის ხარისხი“, — აღნიშნა მარიამ ჯაიანმა.

* * *

საინტერესო იყო მაგისტრანტ მახარე აჭაიძის კვლევა — „იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ დისკურსი ქართველი ულტრანაციონალისტების ფეისბუქ-გვერდებზე“. ნაშრომში, მიზნის შესაბამისად, დასმული იყო ამოცანები: 1. ძირითადი სიტყვების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართულ ულტრანაციონალისტურ ფეისბუქ-გვერდებზე იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ; 2. ძირითადი სტერეოტიპების განსაზღვრა, რომლებიც იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ ვრცელდება აღნიშნულ ფეისბუქ-გვერდებზე; 3. იმის განსაზღვრა, თუ რა ფაქტორები უწყობენ ხელს ულტრანაციონალისტური დისკურსის გააქტიურებას იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ. როგორც მკვლევარმა აღნიშნა, „კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ გვერდების ტექსტებში ყველაზე დიდი წილი ლიბერალური პოლიტიკის კრიტიკა იყო. ასევე ქართული ულტრანაციონალისტების ნარატივი ხშირად ორიენტალისტური იყო. ეს გამოიხატებოდა აზიური და აფრიკული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ აგრესიასა და მათზე უპირატესად თავის წარმოჩენაში. აღნიშნულ ფეისბუქ-გვერდებზე ასევე განსაკუთრებით ხშირი იყო თურქოფობიური პოსტები“.

* * *

პრეზენტაციაზე ასევე წარმოდგენილი იყო დავით ფეიქრიშვილის მოხსენება — „მოლაპარაკების პროცესში მხარეების ურთიერთზეგავლენა და პოზიციის შენარჩუნება“; ლანა დავითულიანის კვლევა — „თბილისის კლუბური კულტურა და ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალი“, ლაშა ჩახუნაშვილის ნაშრომი — „არქტიკა გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ განზომილებაში“, სალომე სამხარაძის კვლევა — „შარჟული ენა საბჭოთა იუმორისტულ გამოცემებში — ჟურნალ „ნიანგის“ მაგალითზე“, ტატიანა სიჭინავას ნაშრომი — „კურორტ წაღვერის რეაბილიტაციისა და განვითარების ახალი მიმართულებების გამოვლენა: ტრანსდისციპლინური მიდგომა“ და ხატია ჩხვიმიანის კვლევა — „პოსტსაბჭოთა ტრანზიციის კულტურული შედეგები: სამი თაობის პერსპექტივიდან დანახული საბჭოთა ნოსტალგია“.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა დოქტორანტების პრეზენტაციებიც მოამზადა. ახალ კვლევებს მომავალ ფესტივალზე უნდა ველოდოთ.





მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019

ტურიზმის სფეროსადმი მიძღვნილი აქტუალური საჯარო ლექციები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

26 სექტემბერს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა ორი საჯარო ლექცია: „ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგიები“ (მომხსენებელი: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასისტენტ-პროფესორი მერაბ ხოხობია) და „ინოვაციური ტექნოლოგიები ტურ-ოპერატორულ ბიზნესში“ (მომხსენებელი: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი დარეჯან ოზმანოვი).

მერაბ ხოხობია

დარეჯან ოზმანოვა

საჯარო ლექციებს ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ლექციების მიზანი იყო მომხსენებლების ინოვაციური იდეებისა და არგუმენტირებული მოსაზრებების წარმოჩენა ქვეყანაში ტურიზმის პოლიტიკის მიმართულებებსა და განვითარების პერსპექტივებზე.

„ტურიზმის ბიზნესი დაკავშირებულია იმ ადგილებთან, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ტურისტთა მოზიდვა. საქართველო ძალზე მიმზიდველია ტურისტთათვის, რასაც ადასტურებს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს საკმაო რესურსი და ადგილი, რაც წარმატებული დანიშნულების ადგილად შეიძლება გადაიქცეს, მაგრამ მხოლოდ ტურისტული აქტივობები და არც ისე კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა საერთაშორისო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის“, — აღნიშნა ეკონომიკის დოქტორმა მერაბ ხოხობიამ და სწორედ ამ საკითხების ანალიზი წარმოადგინა თავის მოხსენებაში — „ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგიები“.

„ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება დაკავშირებულია საკმაოდ რთულ ოპერაციულ ფაზებთან, რომელიც მოითხოვს, ერთი მხრივ, პოლიტიკის შემუშავებას და შესაბამისი დეტერმინანტების გაანალიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, ლოგიკური კონცეპტუალური ჩარჩოს მომზადებას, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრად განვითარებას. ცხადია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ფრაგმენტული ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა ტურისტული დანიშნულების ადგილის სისტემური ანალიზი. ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული თანამედროვე ტენდენციები აქტუალურს ხდის გაანალიზდეს ტურისტული დანიშნულების ადგილის ადაპტაციის უნარი ცვალებად გარემოსთან. ცვლილებები, ფაქტობრივად, ბუნებრივი ფენომენი გახდა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული უწყვეტობასთან. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ტურიზმის ინდუსტრიის და ტურისტული დანიშნულების ადგილის, როგორც სისტემის, შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“, — განაცხადა მერაბ ხოხობიამ, რომელმაც საკითხების სადემონსტრაციოდ ლექციაზე როგორც ქართული, ასევე უცხოური მაგალითები წარმოადგინა.

საჯარო ლექციაზე განხილული იყო აგრეთვე ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების კონცეპტუალური მიდგომები, კერძოდ, სისტემური მიდგომა, სცენარები, კავშირების ანალიზი; ასევე, სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს სტრატეგიული ხედვების, მიზნების, პროგრამების იდენტიფიკაციის პროცესს.

* * *

ინფორმაციული იყო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის დარეჯან ოზმანოვის ლექცია — „ინოვაციური ტექნოლოგიები ტურ-ოპერატორულ ბიზნესში“. მან ტურისტულ ბიზნესში ინოვაციების და ტექნოლოგიების საჭიროებების გამოვლენაზე, ტურიზმის ინოვაციურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში ტურისტული სააგენტოების როლსა და ამ სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებზე ისაუბრა.

„2015 წელს გამოქვეყნდა Anne-Mette Hjalager-ის ნაშრომი „100 Innovations That Transformed Tourism“, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის გამოგონება, რომელმაც თავის დროზე, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას.

დღეს ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად აუცილებელი პირობაა მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების შესახებ ინფორმაციის ფლობა და ციფრული ტექნიკა-ტექნოლოგიების გამოყენება.

სამოგზაურო ინდუსტრიაში დღეს არსებული ტექნოლოგიები, რომლებიც ესოდენ მცირე დროში გამოჩნდა და დაინერგა, კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მომავალში ეს ტექნოლოგიები უფრო დაიხვეწება, გამდიდრდება და ხელმისაწვდომი გახდება“, — განაცხადა დარეჯან ოზმანოვმა.

მომხსენებელმა მსმენელებს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ეტაპები გააცნო, რომელიც დაჯავშნის სისტემების (TripAdvisor, iPhone, UNWTO და ა.შ.) გამოჩენას უკავშირდება. ტურიზმის სფეროში „ციფრული დამხმარის“ გამოყენება ტურისტულ სააგენტოებში დასაქმებული თანამშრომლების შრომის ნაყოფიერებას მნიშვნელოვნად ზრდის, რაც დადებითად აისახება შემოსავლებზე და მთლიანობაში კომპანიის წარმატებას განაპირობებს“, — აღნიშნა დარეჯან ოზმანოვმა. მან ტურ-ოპერატორულ საქმიანობაში ინოვაციების დანერგვის ნაკლოვანებებზეც ისაუბრა, რაც თანამშრომელთა შემცირებაში მდგომარეობს. მისი მოსაზრებით, ერთ-ერთ გამოსავლად შეიძლება მივიჩნიოთ ონლაინ ტურისტული სააგენტოების (მაგალითად, „ოუ-თი-ეი-ეს“ (OTAs -online travel agencies) გამოჩენა, რომლებიც ამცირებს დანახარჯებს ტუროპერატორებისთვის და მნიშვნელოვნად ზრდის სარგებელს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოში ტუროპერატორული კომპანიების საქმიანობის კვლევის შედეგად ასეთი ტენდენციები გამოიკვეთა: „ტურისტული ინდუსტრია საქართველოში ინოვაციების დანერგვას არ ჩქარობს და ბიზნესის განვითარებას მომხმარებელთა მოთხოვნის დონესა და, ზოგადად, მომსახურების დონის ზრდას უკავშირებს.

სამოგზაურო ინდუსტრიაში დღეს არსებული ტექნოლოგიები, რომლებიც ესოდენ მცირე დროში გამოჩნდა და დაინერგა, კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ, თუ რა ტექნოლოგიები გადაიშლება მომავალში ჩვენს თვალწინ. ინოვაციური საინჟინრო გამოგონებები, სწრაფი დაჯავშნისა და უშუალო კავშირის შესაძლებლობები არც თუ შორეული წარსულია, თუმცა მაინც საინტერესოა, თუ რა იქნება შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ტურიზმის ინდუსტრიაში და როგორ უპასუხებენ მას ტურისტული სააგენტოები და მომხმარებლები“, — განაცხადა დარეჯან ოზმანოვმა.

მომხსენებლების ლექციამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მათ ლექციის ბოლოს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხეს.

თსუ-ში ნეიროგლიის ფუნქციების შესახებ სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა

26 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ნეიროგლიის ფუნქციები“ გაიხსნა. კონფერენცია მიეძღვნა თსუ-ის პროფესორის, გამოჩენილი ნეირომეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე როიტბაკის დაბადებიდან 100 წლისთავს და მასში ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის და 10 ევროპული ქვეყნის წამყვანი მეცნიერები მონაწილეობდნენ.



კონფერენციის გახსნაზე ითქვა, რომ ღონისძიება მიზნად ისახავს გააგრძელოს ალექსანდრე როიტბაკის მემკვიდრეობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ნეირომეცნიერების აღორძინებასა და განვითარებას. ღონისძიებას ესწრებოდა თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ კონფერენცია ხელს შეუწყობს სახელოვანი და ტიტულოვანი მეცნიერების შეკავშირებას ერთი მიზნისთვის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

კონფერენციის ორგანიზატორმა და სამეცნიერო კომიტეტის წევრმა, პროფესორმა ზაალ კოკაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს კონფერენცია იმ სამეცნიერო გზის გაგრძელებაა, რომელსაც აკადემიკოსმა როიტბაკმა ჩაუყარა საფუძველი: „80-იან წლებში ალექსანდრე როიტბაკი, რომელიც მაშინ თსუ-ის პროფესორი გახლდათ და ფიზიოლოგიის კათედრაზე ასწავლიდა, ტრადიციულად ატარებდა საერთაშორისო კონფერენციებს — „ნეიროგლიის ფუნქციები“. იმ პერიოდში, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელი იყო საბჭოთა მეცნიერისთვის საზღვარგარეთ გასვლა. ალექსანდრე როიტბაკი კი ახერხებდა მოეზიდა წამყვანი მეცნიერები, რომლებიც მუშაობდნენ ტვინის, კონკრეტულად კი ნეიროგლიის ფუნქციებზე. სამი ასეთი კონფერენცია გაიმართა, მათ შორის, ბოლო — 1989 წელს. ცოტა ხნის წინ ჩვენ გადავწყვიტეთ აღგვედგინა ეს კონფერენცია, რომელმაც დიდი კვალი დატოვა მსოფლიო ნეირომეცნიერების განვითარებაში. წელს მოვახერხეთ და შევკრიბეთ ნეიროგლიის მიმართულებით მომუშავე წამყვანი მეცნიერები, რომლებიც დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. ნეიროგლია ის სტრუქტურული ელემენტია, რომელიც მნიშვნელოვანია ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისთვის“, — აღნიშნა ზაალ კოკაიამ.

კონფერენციაზე, რომელიც 3 დღის მანძილზე მიმდინარეობდა, 25 მოხსენება და 20-მდე პოსტერი წარმოადგინეს. მისი ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველოს ნეირომეცნიერების ასოციაცია, ეროვნული აკადემია, სამეცნიერო ჟურნალი „გლია“ და „აკადემია ევროპეას“ თბილისის რეგიონული ცენტრი. ღონისძიება გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG), ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO), ტვინის იმუნოლოგიისა და გლიის ცენტრის (BIG) და ვირჯინიის უნივერსიტეტის ნეირომეცნიერების დეპარტამენტის (აშშ) ფინანსური მხარდაჭერით.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ – 2019

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

25 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმი — „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ გაიხსნა. სიმპოზიუმის თემა იყო — „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“.

ნინო გვენეტაძე

ირმა რატიანი

საერთაშორისო სიმპოზიუმი მისასალმებელი სიტყვით გახსნა შეხვედრის ორგანიზატორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ირმა რატიანმა. მისი თქმით, სიმპოზიუმის თემა არსებითია იმ თვალსაზრისით, რომ ესაა ერთგვარი გაგრძელება წინა წლებში დამუშავებული ისეთი საკითხებისა, როგორიც იყო, მაგალითად, ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი: „მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ პოლიტიკური და ლიტერატურული დისკურსი — მათი ერთმანეთზე ზემოქმედება გვაინტერესებს, რადგან მიგვაჩნია, რომ პოლიტიკამ და ლიტერატურამ ერთობლივად არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა ქვეყნების ისტორიაშიც არაერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა“, — აღნიშნა ირმა რატიანმა.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ნინო გვენეტაძე და საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჰალილ გიუვენი. ნინო გვენეტაძის თქმით, უნივერსიტეტი მიესალმება ასეთი სახის დისკურსსა და კონფერენციის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაცია-მოსაზრებებს: „ჩვენთვის ძალიან საპატიო და მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი საერთაშორისო სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანიზატორია. ველით, რომ ეს იქნება მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი; დისკუსია, აზრთა სხვადასხვაობა და გამოთქმული რეკომენდაციები დაეხმარება ჩვენს ახალგაზრდობას, მომავალ თაობას გასული საუკუნის პოლიტიკური მოვლენების სწორად აღქმასა და შეფასებაში“, — აღნიშნა მან.

საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ უკვე მეცამეტედ იმართება. „ყოველ წელს ამ სიმპოზიუმს აქვს თავისი თემატიკა. წელს შევარჩიეთ საკმაოდ აქტუალური თემა: „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“. ამ თემაზე საგანგებო კვლევა არავის ჩაუტარებია. შესაბამისად, ეს ფორუმი, დარწმუნებული ვარ, წარმოაჩენს ძალიან ბევრ საინტერესო და აქტუალურ საკითხს“, — განაცხადა თსუ-ის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მაკა ელბაქიძემ.

სიმპოზიუმის პირველმა მომხსენებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ჯესიკა პრესმენმა, თავის გამოსვლაში — „Loving books at the end of the millennium“ — ლიტერატურის თანამედროვე დანიშნულებისა და მრავალფეროვნების შესახებ ისაუბრა.

სიმპოზიუმში მსოფლიოს 14 ქვეყნიდან 100-ზე მეტი მეცნიერი მონაწილეობდა. ამ ქვეყნებს შორის იყო: აშშ, გერმანია, იტალია, სამხრეთ კორეა, მაკედონია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი. გარდა ამისა, მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები დედაქალაქსა და რეგიონებიდან.

სიმპოზიუმის პლენარული სესიის ფარგლებში, ასევე, გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ ორგანიზებული გამოფენა — „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები საქართველოში“. საზოგადოებას, ასევე, წარედგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურული ინსტიტუტის ახალი ინგლისურენოვანი გამოცემა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲝᲡᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა ქართველი და ოსი ეთნოსების სამეცნიერო და ისტორიული ურთიერთობების შემაჯამებელი პრეზენტაცია გამართა. ამ კვლევითი პლატფორმის დაარსება სპეციალისტებმა თავიდანვე შეაფასეს, როგორც ორი ხალხის დიალოგის აღდგენისთვის აუცილებელი დროული ნაბიჯი.

ნაირა ბეპიევა

„დღევანდელ პრეზენტაციაზე წარმოვადგინეთ კოსტა ხეთაგუროვის ლექსების კრებული ქართულ და ოსურ ენებზე. ამ წიგნში თქვენ ნახავთ წინა წლების თარგმანებთან (ჯანსუღ ჩარკვიანის, ბესიკ ხარანაულის, გივი შანჰნაზარის, ზეზვა მედულაშვილის) ახალ თარგმანებსაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ლიტერატურული ტრადიცია გრძელდება ქართველებსა და ოსებს შორის. ჩვენ „ნართების ეპოსის“ ორტომეულიც გამოვეცით და, ასევე, „ნართების თქმულებები“ ბავშვებისთვის, რომელიც ადაპტირებული გამოცემაა. ილუსტრაციები ქართველ და ოს მხატვრებს ეკუთვნით. საინტერესო ფაქტია, რომ ეს წიგნი პირველ კლასიკურ გიმნაზიაში და სხვა რამდენიმე სკოლაში დამხმარე სახელმძღვანელოდ შეიტანეს. ბავშვები დიდი ხალისით სწავლობენ და ადარებენ ერთმანეთთან ქართულ-ოსურ-ბერძნულ მითებს და ბევრ საერთოსაც პოულობენ. ასევე, გამოვეცით „ოსური ზეპირსიტყვიერება“, „ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა“, „ოსური ენის თვითმასწავლებელი“ და სხვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი „ქართულ-ოსური“ და „ოსურ-ქართული“ ლექსიკონია, რომელიც დღემდე არ გამოცემულა. ამ წიგნის შემოქმედნი კი არიან ქართველი და ოსი ლექსიკოლოგები, ენათმეცნიერები, ლინგვისტები და სხვა. მათი ურთიერთთანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანია დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით“, — აღნიშნა თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საქმიანობის შემაჯამებელი პრეზენტაცია 1 ოქტომბერს „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში გაიმართა.

„კონფლიქტი ორ ხალხს ერთმანეთისგან თიშავს, რაც პირადად ჩემთვის ძალიან დამთრგუნველი და მიუღებელია. ეს ორივე ერისთვის დიდი ტრაგედიაა, რადგან უამრავი შერეული ოჯახი გაიყო და ოჯახის წევრებს, წლებია, ერთმანეთი არ უნახავთ. ჩვენი საქმიანობით, ორენოვანი წიგნების გამოცემით, ერთმანეთთან თანამშრომლობით ვცდილობთ ურთიერთობისთვის იმ გზის გაკვალვას, რომელიც ყველასთვის მისაღებია და ეს არის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების გზა“, — განაცხადა პრეზენტაციის დასასრულს პროფესორმა ნაირა ბეპიევმა.

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ: ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ — ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ, ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ, ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲭᲧᲝᲘᲫᲔ

საქართველოში მომრავლებული „ფეიკ ნიუსები“ – საფრთხე, რომელიც სახელმწიფოებრივ სტაბილურობას ემუქრება

მაია ტორაძე

ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე სამყაროს, უდავო სიკეთესთან ერთად, რამდენიმე სერიოზული თავის ტკივილიც შემატა. ის, რომ ინტერნეტი მკვეთრად ამარტივებს კომუნიკაციას, აფართოებს ინფორმაციის მოპოვების არეალს, იძლევა გამოხატულების თავისუფლებას და ზრდის ინფორმირებული მოქალაქეების რიცხვს, მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ, ამის პარალელურად, იმატა ყალბი, გადაუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელების პრეცედენტებმა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ პოლიტიკურ ძალებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობებზეც კი.

რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ყალბი ინფორმაციის (ე.წ. „Fake news“-ის) გავრცელებამ და როგორ შეიძლება მას ვებრძოლოთ? ამ საკითხებზე გვესაუბრება ანალიტიკოსი **გია აბაშიძე**:

„ყალბი ინფორმაციის გავრცელების პრობლემა ახალი ნამდვილად არ არის კაცობრიობისთვის. ის მეტად აქტუალური გახდა 2-3 წლის წინ, როდესაც ამერიკაში მნიშვნელოვანი არჩევნები ჩატარდა, ევროპაში კი — ბრექსიტის (Brexit referendum) რეფერენდუმი და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები.

სოციალური ქსელი, რომლითაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სარგებლობს, ნებისმიერ ადამიანს აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევს, ამიტომ, ტრადიციული ჟურნალისტიკა საკმაოდ მწვავე კონკურენცია-მეტოქეობას განიცდის „ფეიკნიუსერი“ სააგენტოების, ჯგუფების და სხვა არაკეთილსინდისიერი ადამიანების მხრიდან. ზოგადად „Fake news“-ს იყენებენ როგორც კომერციული მიზნებისთვის, ისე პოლიტიკური პროპაგანდისთვის. დგინდება, რომ ამ მეთოდებით მსოფლიოში, თუნდაც, სხვადასხვა აპოლიტიკური ონლაინ მედიასაშუალებები ძალიან კარგ ეკონომიკურ სარგებელს იღებენ“, — ამბობს ანალიტიკოსი გია აბაშიძე ჩვენთან საუბარში.

რა არის ყალბი ინფორმაცია ანუ ე.წ. „ფეიკ ნიუსი“?

ყალბი ინფორმაციის ერთი მახასიათებელია მყვირალა სათაურით გამოქვეყნებული „სენსაციური ინფორმაცია“, რომელიც ადვილად ატყუებს მკითხველს. ამგვარ ინფორმაციებზე დაწკაპუნების რაოდენობა ავტომატურად ფიქსირდება, რაც საშუალებას აძლევს მედიასაშუალების მესვეურებს, მიიზიდონ რეკლამის დამკვეთები, რადგან ინფორმაციების მნახველთა რაოდენობა მის გვერდზე ასიათასებს აღწევს. ეს სისტემა მუშაობს პოლიტიკური მიზნითაც.

„საქართველოში ყალბი ინფორმაციის გავრცელების პიკი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის „ორთაბრძოლა“ გაიმართა არა

გია აბაშიძე

მხოლოდ სოციალურ ქსელებში (მაგალითად, „ფეისბუქში“, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები ყველაზე მეტად იყენებენ), არამედ ტელევიზიებშიც, სადაც მეტად ჩანდა ოპოზიციური ფლანგი. მაგალითად, მაშინ ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილება ტელევიზია „რუსთავი 2“ ტელესიუჟეტებში ისეთ სიყალბეს ამბობდა, რომლის განეიტრალებაც ხელისუფლებას გაუჭირდა“, — აცხადებს გია აბაშიძე.

როგორ უნდა ამოვიცნოთ „ფეიკ ნიუსი“ და როგორ უნდა დაიცვას თავი მისგან საზოგადოებამ?

გია აბაშიძე განმარტავს: „მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებობს მანიპულაციური მედიათხრობა, როდესაც ტყუილ-მართალი ერთმანეთში არეულია. „ფეიკ ნიუსების“ ერთ-ერთი განშტოებაა, როდესაც ჟურნალისტის პირადი პოლიტიკური მოსაზრებები საღდება, როგორც აქსიომა, როგორც ფაქტი და არა როგორც მისი აზრი. საქართველოს პოლიტიკურ რეალობაშიც გვხვდება ასეთი რამ: მაგალითად, ავრცელებენ ინფორმაციას, რომ, ვთქვათ, ქართული ოცნება არის რუსეთის მონა-მორჩილი, „გაზპრომის“ ფულზე დამოკიდებული და სხვ. ავრცელებენ, მაგრამ ამის უკან ფაქტები არ არის, ეს არის უბრალოდ მოსაზრება.

როგორ ხდება „ფეიკ ნიუსების ამოცნობა მარტივად?

უნდა დააკვირდე — თუ ვინ ავრცელებს ინფორმაციას და შემდეგ გადაამოწმო. ინტერნეტი უკიდეგანო სივრცეა. თუ ამავე ინფორმაციას იმეორებს მისი თანაპარტიელი, გასაგებია — რა ხდება, თუ სხვა წყარო იგივეს არ ადასტურებს, მაშინ ეს ინფორმაცია ყალბია.

ჩვენ „ფეიკ ნიუსის“ ერთი მაგალითით წლების წინ ძალიან დიდი დარტყმა მივიღეთ. ყველას გვახსოვს მოდელირებული ქრონიკა. ეს იყო კლასიკური „ფეიკ ნიუსი“. ასეთ დროს ძალიან მარტივი საშუალებაა, რომ გადაამოწმო — რა ხდება სხვა არხზე. მახსოვს, მე საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადავრთე და, მგონი, ის არხი ბალეტს აჩვენებდა, შემდეგ დავუკავშირდი „იმედის“ პროდიუსერს და მან მითხრა, რომ ეს მოდელირებული ქრონიკა იყო. დაეჭვება და გადამოწმება არის მთავარი. თუ ინფორმაცია საიმედოდ არ გვეჩვენება, აუცილებლად უნდა შევხედოთ თარიღს და ავტორს.

ამ ბოლო პერიოდში გავრცელდა კიდევ ერთი კლასიკური ყალბი ინფორმაცია — მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ანაკლიაში შემოჰყავდა ბრიტანული კომპანია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაიწუნა. მას დაავიწყდა, რომ ამ კომპანიაზე შეიძლება მოიძიო ინფორმაცია და გაიგო, ვინ არიან მისი წარმომადგენლები. ამგვარი გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ესენი არიან არა ბრიტანელი, არამედ ყაზახი მილიონერები, რომლებსაც კავშირები აქვთ რუს ოლიგარქებთან. ასეთი ინფორმაციები ძალიან მარტივია დასაჯერებლად და თუ არა დროული რეაგირება, სხვანაირად წინ ვერ წავალთ.

ხშირად ვრცელდება ყალბი ფოტოებიც. მაგალითად, საქართველოში არჩევნების დროს ვრცელდებოდა ფოტო, სადაც პუტინი და გრიგოლ ვაშაძე იყვნენ ერთად. ეს გახლდათ სრული სიყალბე. საზოგადოება ამგვარი ფოტოს გადამოწმების ინსტრუმენტებსაც უნდა ფლობდეს.

„ყალბ ინფორმაციასთან“ ბრძოლის რა გამოცდილება აქვს ევროპას ან ამერიკას?

ყველა აცნობიერებს, თუ რამხელა საფრთხეს უქმნის ყალბი ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკურ/სახელმწიფოებრივ სტაბილურობას. ამის გამო დასავლეთში დაიწყეს დაცვის მექანიზმებზე ზრუნვა. ჯერჯერობით ეს არ არის მასშტაბური. როგორც ანალიტიკოსი გია აბაშიძე ჩვენთან საუბარში აცხადებს, იქმნება სპეციალური ჯგუფები ევროკავშირში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბრიტანეთსა და ამერიკაში, სადაც მობილიზებული არიან ანალიტიკოსები და ფოკუსირებული არიან უკვე ეჭვმიტანილ ინტერნეტ-საიტებზე. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ Google-თან და Facebook-თან, რომ ერთობლივად მოხდეს ასეთი გვერდების დაბლოკვა. მაგალითად, თუ ისინი დაინახავენ, რომ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირიდან ხდება ყალბი ინფორმაციის გავრცელება, ამ მისამართს საერთოდ დაბლოკავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ კანონი აქვს საფრანგეთს, რითაც ის ებრძვის უცხო ქვეყნიდან მანიპულაციურ ჩარევებს შიდა პოლიტიკურ ამბებში. ჩვენ, იქიდან გამომდინარე, რომ გამოხატვის თავისუფლების ძალიან მაღალი ნიშნული გვაქვს ქვეყანაში, ამ ნიშნულს ვუფრთხილდებით, მაგრამ არსებობს გარკვეული რეგულაციები, რომელიც, ალბათ, უნდა დავამკვიდროთ. მაგალითად, ბრიტანეთს აქვს ძალიან კარგი მექანიზმი: იქ ფუნქციონირებს მარეგულირებელი კომისია, რომელიც წვდება ყველა ტელევიზიას, როგორც კერძოს, ასევე საზოგადოებრივს. თუ მაყურებელმა გადაწყვიტა შეიტანოს საჩივარი რომელიმე არხის წინააღმდეგ, რადგან შეილახა/დაზიანდა მისი პიროვნება, ხდება სანქცირება. როგორც ჩვენთან პორნოგრაფია არ გადის ტელეარხებზე, ისე არ გადის იქ გინება და ყალბი ინფორმაცია. საკმაოდ კარგად მუშაობს საჩივრების სისტემა“, — ამბობს ანალიტიკოსი.

დგას თუ არა რუსული ძალა საქართველოში გავრცელებული „FAKE NEWS“-ების უკან?

„როგორც არაერთი კვლევიდან ჩანს, დეზინფორმაციის 90% რუსეთიდან მოდის, თუმცა რუსეთის ხელისუფლება ამას უარყოფს. ეს არის ე.წ. ჰაკერების და ინტერნეტ-სპეციალისტების მიერ მართული პროცესი და, ცხადია, სპეციალური ორგანოების დავალებით ისინი ასეთ დეზინფორმაციას ავრცელებენ.

რუსული დეზინფორმაციის ძირითადი მიზანია, ხალხში გააღვივოს ასეთი აღქმა: ჩვენ კი ვართ ცუდები, მაგრამ თქვენ არანაკლებ ცუდები ხართ, რომ უკრაინა არის სლავური ქვეყანა და რუსეთისგან არასდროს არსად წასულა, მისი ხელისუფლება არ ვარგა, ავტოკეფალური ეკლესია არაფერს ნიშნავს და ა.შ. საქართველოსთან მიმართებაში რუსული პროპაგანდა არ არის ისეთი მწვავე, როგორც უკრაინასთან მიმართებაში, თუ არ გამოვრიცხავთ ივნისის მოვლენებს, როდესაც მათ წარუმატებელი მცდელობა ჰქონდათ, რომ საქართველო წარმოეჩინათ არასტაბილურ და არეულ ქვეყნად. რუსული პროპაგანდა უფრო მიმართულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნოსტალგიის წარმოსაჩენად. ბუნებრივია, ეს მათი ჰიბრიდული ომის ნაწილია“, — აცხადებს გია აბაშიძე.

სად ვეძებოთ გამოსავალი?

„ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის რამდენიმე მექანიზმი არსებობს, რომელშიც საზოგადოება უნდა იყოს აქტიურად ჩართული:

პირველი — ყალბი ინფორმაციის გამავრცელებელი მედიასაშუალებების გამოვლენა, დასახელება და კატალოგიზაცია;

მეორე — მედიაწიგნიერების დონის ამაღლება, რომ საზოგადოება ფლობდეს ე.წ. „ფეიკის“ ამოცნობის ტექნიკას;

მესამე — მყისიერი რეაგირება ყალბი ინფორმაციის გავრცელებაზე — მისი გაბათილება.

ჩვენ ვაწყდებით ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რასაც ჰქვია კრიტიკული აზროვნება — არ შეიძლება მივიღოთ ყველაფერი ისე, როგორც ვხედავთ და ვკითხულობთ, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს კრიტიკული აზროვნება და ეს უნდა მოდიოდეს როგორც სკოლიდან, ისე უმაღლესი სასწავლებლებიდან. ამ ყველაფერზე ერთობლივად უნდა იზრუნონ ჟურნალისტებმა, არასამთავრობოებმა, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ. სხვანაირად ამ ვირუსის გავრცელებას ვერ შევაჩერებთ.

მედიასაშუალებებში ძირითადად დომინირებენ პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები. ნაკლებად ჩანან სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, რომლებმაც მეცნიერული ანალიზი უნდა მოგვცენ ამა თუ იმ მოვლენაზე. სამწუხაროა, რომ „NDI“-ის კვლევები ერთადერთია, რომელიც განწყობებს იკვლევს. სხვები სად არიან? არ შეიძლება იყოს ერთი სოციოლოგიური კვლევის კომპანია, რომელიც მიკერძოებულია. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მრავალფეროვანია გარემო, მით უფრო მარტივია არჩევანი.

რაც შეეხება იმას, არის თუ არა ამჯერად რაიმე მექანიზმი სიყალბისგან დასაცავად, გეტყვით, რომ ჩვენთან ფუნქციონირებს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები პრემიერ-მინისტრის აპარატში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში, შსს-ში. ამ კუთხით, ასევე, მუშაობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ე.წ. „მედიაჩეკერი“, რომლებიც ყურადღებას აქცევენ — თუ როგორ ვრცელდება რუსული იდეოლოგია ქართულ რეალობაში. თუმცა, სამწუხაროდ, არასამთავრობოების ის ნაწილი, რომელიც რუსულ პროპაგანდაზე ახორციელებს მონიტორინგს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ქართული ყალბი ინფორმაციის გავრცელებას. ვისურვებდი, რომ არასამთავრობო სექტორმა გაშალოს მონიტორინგის არეალი და მყისიერი რეაგირება მოხდეს ყველა ყალბ ამბავზე“, — ამბობს ანალიტიკოსი გია აბაშიძე, რომელთან საუბარიც სწორედ პრობლემიდან გამოსავლის ერთად მოძებნის მიზნით დავიწყეთ.

სონია უტცი: გასახარია, რომ მედიაფსიქოლოგიის შესწავლა საქართველოშიც შესაძლებელია

ლიანა მარქარიანი

წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა — მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები დაემატა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა და რეგიონში პირველი და ინოვაციურია. პროგრამის ხელმძღვანელი თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი მარიამ გერსამია გახლავთ, რომლის ინიციატივითაც პროგრამის ფარგლებში 7-18 ოქტომბრის ჩათვლით, ტუბინგენის უნივერსიტეტის (გერმანია) სრული პროფესორი (Full professor for Communication via Social Media at University of Tübingen) და მედიის კვლევითი ცენტრის მკვლევართა ხელმძღვანელი (Leader junior research group Social media at the Leibniz-Institut für Wissensmedien, Tübingen) სონია უტცი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ორ სასწავლო კურსს: „სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები“ და „მედიაფსიქოლოგიის თეორიები და ისტორია“. ლექციებს შემოუერთდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის და ერაზმუს-ის გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტებიც.

მედიაფსიქოლოგიის დარგში კვლევების მნიშვნელობისა და საქართველოში ამ ახალი მიმართულების როლის შესახებ პროფესორ სონია უტცის *გავესაუბრეთ.*

სონია უტცი და მარიამ გერსამია სტუდენტებთან

— ქალბატონო სონია, თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს მედიაფსიქოლოგიის კვლევებს, რამდენად აუცილებელია ეს მიმართულება დღეს?

— მედიაფსიქოლოგიის მიმართულებით კვლევა არის მედიაგარემოში ადამიანის ქცევის მეცნიერული შესწავლა. ამავე დროს, ეს არის იმ ეფექტების, მოტივებისა და მიზნების დადგენა, რომლებიც მომხმარებლის მიერ კონკრეტული მედიაპლატფორმის შერჩევაზე ახდენს გავლენას. ბუნებრივია, რაც მეტი დრო გადის, ეს მიმართულება მეტად მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ჩვენი ცხოვრების მეტი ნაწილი ეთმობა მედიას. სმარტფონები ძალიან პოპულარული გახდა. ადამიანების უმეტესობა თითქმის მუდმივად ქსელშია ჩართული და მუდმივ კონტაქტშია მეგობრებთან. ჩვენ ვეძებთ ინფორმაციას, ვუყურებთ ფილმებს, ვიგებთ რაღაც ახალს და ვავითარებთ ძველს — ანუ მედიას უკვე ყველაფრისთვის ვიყენებთ. ზუსტად ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ეფექტის/გავლენის შესწავლა.

— სოციალური მედიის მომხმარებელი საკმაოდ განსხვავდება. მომრავლდა ტროლები, ბოტები და საკუთარი თავის ხელოვნურად შექმნილი ვირტუალური „მუზეუმები“... როგორაა შესაძლებელი მომხმარებელზე გავლენების კვლევა, თუ ხშირად არ ვიცით — ვინ იმალება ამა თუ იმ „ავატარის“ უკან?

— როგორც მედიაფსიქოლოგს, შენ გინდა, რომ გაიგო და აღმოაჩინო — თუ რა გავლენა აქვს ამა თუ იმ ჟურნალისტურ პროდუქტს ან პლატფორმას კონკრეტულ მომხმარებელზე ან/და ჯგუფზე. შესაბამისად, მკვლევარს უკვე არ აინტერესებს, თუ ვის ეკუთვნის ე.წ. პროფილი. შესაძლოა, ყალბი იყოს სახელი, ფოტო ან ნებისმიერი ინფორმაცია, მაგრამ გავლენას მაინც ვხედავთ. ექსპერიმენტში ეს გავლენები კარგად ჩანს — მასკომუნიკაციების მკვლევარი მეტად აქცევს ყურადღებას — ბოტი აზიარებს ამბავს თუ რეალური ადამიანი, ხოლო მედიაფსიქოლოგი გავლენების მიმართულებას იკვლევს და ამ მიმართულებით წარმართავს საქმიანობას.

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ძირითადი განსხვავება მასკომუნიკაციების კვლევებსა და მედიაფსიქოლოგიის კვლევებს შორის?

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიაფსიქოლოგიის მიმართულებითა და შესაბამისი მეთოდოლოგიით კვლევები მეტად თავისუფალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის მეცნიერულ საზღვრებს სცდება. განსხვავებაა ის, რომ მასკომუნიკაციის კვლევებს ახასიათებს ერთი — ვიწრო მიმართულებით ფოკუსი. ხოლო მედიაფსიქოლოგიის კვლევები საკმაოდ ფართოა და ბევრი მეთოდის გამოყენების საშუალებას გვაძლევს. მედიაფსიქოლოგია გავლენებს, მიზნებსა და შედეგებს მეტად იკვლევს.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არის დადებითი ცვლილებები. გამოჩნდა ფაქტების გადამოწმების პლატფორმები და საზოგადოება ამას აქტიურად იყენებს. მედიაფსიქოლოგიის მიმართულებით კვლევები მეტად შეაჩერებს ყალბი ინფორმაციის, პროპაგანდის და სიძულვილის ენის გახშირების პროცესს.

— როგორც უკვე იცით, პროფესორ მარიამ გერსამიას ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიაფსიქოლოგიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა გაიხსნა. რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროგრამის ამუშავება, რას მისცემს იგი მომავალ მკვლევრებს და პრაქტიკოს ჟურნალისტებს?

— ვფიქრობ, რომ ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ამ რეგიონში. როგორც ვიცი, საკმაოდ ბევრი ყალბი ინფორმაცია ვრცელდება ქართულ სოციალურ მედიაში. ამასთან ერთად, მედიაწიგნიერების დონეც უნდა ამაღლდეს. ზუსტად ამიტომ, საჭირო და აუცილებელიც იქნება ისეთი ადამიანები, რომლებმაც სიღრმისეულად შეისწავლეს მედიაფსიქოლოგია და მარტივად შეუძლიათ ამ მიმართულებით კვლევა და მუშაობა. ვფიქრობ, რომ მედიაფსიქოლოგიის სპეციალისტის უნარ-ჩვევების ქონა ჟურნალისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კარგია, რომ დღეს ეს ცოდნა საქართველოშიც ხელმისაწვდომია.

— თქვენ უკვე რამდენიმე ლექცია ჩაატარეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებთან. შეგიძლიათ შეადაროთ სტუდენტების ინტერესი და ჩართულობა? როგორც ვიცი, საქართველოში პირველად ხართ და ქართველ სტუდენტებთან შეხვედრაც, ცხადია, პირველია. არის დაინტერესება სტუდენტების მხრიდან?

— როდესაც საკითხი სოციალურ მედიას ეხება, ირკვევა, რომ ყველა სტუდენტის ინტერესი იგივეა — განსხვავება არ ჩანს. ყველა ადამიანი ფიქრობს იმაზე, თუ როგორ წარმოაჩინოს თავი იგივე FACEBOOK-ზე, რას იფიქრებს სხვა და ასე შემდეგ. თუმცა, როცა გადავდივართ მედიაფსიქოლოგიაზე, ჩანს, რომ აქ, საქართველოში დაინტერესება მეტია, რადგან ეს არის სიახლე და აქ სხვა მედიასისტემაში ცხოვრობთ. არსებობს მედიაორგანიზაციები, რომლებსაც არ ენდობით, რაც ჩემთვის ცოტა გაუგებარია, ზუსტად ამიტომ არის საინტერესო ეს მიმართულება და კვლევები.

— შესაძლებელია თუ არა ამ კვლევებით ზოგადი ჟურნალისტური სტანდარტების ამაღლება, მედიაგარემოს შეცვლა და მკითხველის/მაყურებლის ნდობის მოპოვება?

— ეს ძალიან კარგი კითხვაა, რადგან, ზოგადად, მედიაფსიქოლოგიას იყენებენ მომხმარებლის „მოქმედების“ ან იმის კვლევისთვის, შეუძლია თუ არა მედიამომხმარებელს აღმოაჩინოს და ადეკვატურად შეაფასოს დაბალი ხარისხის მედიაპროდუქტი. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია ვიკვლიოთ და გავიგოთ — თუ რა სურს მომხმარებელს, რა ხარვეზები გვხვდება, რა არის გასაუმჯობესებელი და ეს ინფორმაცია სხვადასხვა მედიაორგანიზაციას მივაწოდოთ. მაგალითად, შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა არის მკითხველის ან მაყურებლის მხრიდან მარტივად აღსაქმელი და ამ სტანდარტების მიხედვით ვიმუშაოთ ჟურნალისტური პროდუქტის დახვეწაზეც. მაგრამ, მთავარია ის, თუ რას გულისხმობთ ხარისხიან მედიაში. ეს მეთოდები, სამწუხაროდ, საზოგადოების მანიპულაციისთვისაც შეიძლება გამოიყენონ, მაგალითად, იგივე ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის.

— როგორც აღნიშნეთ, ბევრი ყალბი ინფორმაცია ვრცელდება, რომლებიც ნამდვილ ინფორმაციასთან შედარებით მეტად გაზიარებადია. შეგვიძლია თუ არა ამის კვლევა მედიაფსიქოლოგიის კუთხით და შემდეგ უკვე რეკომენდაციების ჩამოყალიბება და მასთან ბრძოლა?

— ხშირად ყალბი ინფორმაციის უკან კონკრეტული აქტორი დგას. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეუძლია საზოგადოებას ყალბი ინფორმაციის დაფიქსირება. იმ შემთხვევაში, თუ ყალბი ინფორმაცია მიზანს აღწევს, ცხადია, ავტორისთვის ეს მომგებიანია. მაგრამ, დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი არის დადებითი ცვლილებები. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი ამას ხვდება, რადგან გამოჩნდა ფაქტების გადამოწმების პლატფორმები და საზოგადოება ამას აქტიურად იყენებს. ხოლო, მედიაფსიქოლოგიის მიმართულებით კვლევები მეტად შეაჩერებს ყალბი ინფორმაციის, პროპაგანდის და სიძულვილის ენის გახშირების პროცესს.

— ცნობილია, რომ ევროპულ და ამერიკულ ქვეყნებში მეტად პოპულარულია „ტვიტერი“, ხოლო საქართველოში — „ფეისბუქი“. შეიძლება, რომ ეს გახდეს ცალკე კვლევის საგანი? როგორ უყურებთ ამას, როგორც მედიაფსიქოლოგი?

— ცუდი არის ის, რომ უბრალოდ შეუძლებელია საზღვარგარეთ ჩატარებული კვლევების შედეგების გაიგივება ქართულ მოსახლეობაზე ან კავკასიის რეგიონის ნებისმიერ ქვეყანაზე, რადგან პლატფორმების შერჩევის ინტერესი და კვლევის საგანი განსხვავდება. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება გახდეს ცალკე კვლევის საგანი, რომელიც ზუსტად ადამიანის არჩევანზე იქნება ორიენტირებული.

— დღევანდელი გადმოსახედიდან, მედიაფსიქოლოგიას საქართველოში რა შედეგი ექნება? რამდენად იმოქმედებს ამ მიმართულებით კვლევები მედიაეფექტებზე?

— ცხადია, რომ ფუნდამენტალურად ყველაფერი ვერ შეიცვლება, მაგრამ თუ დღეში ერთ ადამიანსაც კი დაეხმარება, რომ მარტივად გამიჯნოს ნამდვილი და ყალბი ინფორმაცია, მაშინ რამდენიმე წელიწადში ცვლილება თვალსაჩინო იქნება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გააგრძელებს სპეციალისტი მოღვაწეობას: პროფესორი გახდება, მასწავლებელი, ჟურნალისტი, რედაქტორი თუ მკვლევარი. ახლა შესაძლებელია რამდენიმე პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა. პროგრამაზე წელს მცირე ჯგუფი სწავლობს და მომავალში სტუდენტთა რიცხვიც უნდა გაიზარდოს. ეს ჩემთვისაც ახალი და მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ, ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲘ, ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

შოთა კეჟერაშვილი

თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში გაწევრიანების სურვილი სტუდენტების უპრეცედენტო რაოდენობამ გამოთქვა. სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების ორგანიზებით გამართული საინფორმაციო შეხვედრების შემდეგ თვითმმართველობაში 500-მდე აპლიკაცია შევიდა. რეიტინგმა აიწია. სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ეს შედეგი სტუდენტებისა და სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების მუდმივი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შედეგია.

„ყოველ ღონისძიებას უფრო მეტი სტუდენტი ესწრება. ისინი გვიზიარებენ მოსაზრებებს, რასაც ვითვალისწინებთ და ჩვენც ვცდილობთ, რაიმე ახალი და განსხვავებული შევთავაზოთ მათ. ეს ჩვენთვის დიდი მოტივაციაა“, — აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შოთა კეჟერაშვილმა.

„ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ ამ სემესტრშიც. განაცხადი უკვე შევიტანეთ სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოში. ველოდებით განხილვის შედეგებს. გავმართეთ პირველკურსელთა მისაღები ღონისძიება — „TSU Welcome Party 2019“ (საქართველოს ბანკის სპონსორობით). ელექტრონული მუსიკის მოყვარულებს დაუვიწყარი საღამო ვაჩუქეთ.

სტუდენტური კონფერენცია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით

პირველკურსელებისთვის ტრადიციულად იმართება ექსკურსიები, ამიტომ სტუდენტურ თვითმმართველობაში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა ყოველ დღე მატულობს“, — გვითხრა სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა ლუკა ონიანმა.

გასულ წლებთან შედარებით წელს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების რიცხვმაც მოიმატა და უფრო მეტი სპეციალობა მოიცვა. ზაფხულის განმავლობაში განხორციელდა კვლევითი ექსპედიციები. სტუდენტებმა საკუთარი გამოცდილება და თსუ-ში მიღებული ცოდნა მოსწავლეებსაც გაუზიარეს. ამ მიზნით შეხვედრები ქუთაისისა და თბილისის საჯარო სკოლებში გაიმართა. ასევე, იმიტირებული სასამართლო პროცესები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და სახეცვლილი შემეცნებითი ვიქტორინები, მიმდინარე წელს, სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობის ნაწილი გახლდათ.

„ყველაზე მასშტაბური ექსპედიცია საქართველოს ისტორიულ ლორე-ტაშირში ჩატარდა, სადაც სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს. ექსპედიციის ფარგლებში იქ მუშაობდნენ ეთნოლოგები, არქეოლოგები, ფილოლოგები. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები აბასთუმნის ობსერვატორიაში იმყოფებოდნენ კვლევითი ვიზიტით. თსუ-ში ბევრი სპეციალობა ისწავლება და ვეცადეთ ყველა მიმართულებით გაგვემართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები. მუდმივად ვცდილობთ კონფერენციების ხარისხის ამაღლებას, ამ პროცესში ჩვენი პროფესურა აქტიურად არის ჩართული. სტუდენტებს თემატური შემეცნებითი ვიქტორინები შევთავაზეთ; მაგალითად, ჩავატარეთ შეჯიბრი თსუ-ის ისტორიასთან დაკავშირებით. გამარჯვებულებს წამახალისებელი პრიზები გადავეცით“, — განაცხადა შოთა კეჟერაშვილმა.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ

სტუდენტურმა თვითმმართველობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოპტიმიზაციის კომისიას 15 გვერდიანი მოხსენებაც წარუდგინა, სადაც თსუ-ში არსებული პრობლემებია ასახული. მასში განმარტებულია, თუ რა შეფერხებებს აწყდებიან სტუდენტები სასწავლო ელექტრონული ბაზით სარგებლობისას, რა ბიუროკრატიული ბარიერებია, როგორი დამოკიდებულებაა ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან, რა ვითარებაა საგამოცდო ცენტრში, კიდევ სად და რა სახის ინფრასტრუქტურული პრობლემაა მოსაგვარებელი... დოკუმენტის შემუშავებამდე წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები ყველა ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. სტუდენტურმა თვითმმართველობამ შემაჯამებელი მოხსენება წერილობითი სახით თსუ-ის ადმინისტრაციასაც გადაუგზავნა.

„ჩვენ გვაქვს ბერკეტი — საფაკულტეტო საბჭოები და სენატი, სადაც ჩვენ ამ საკითხებს ყველა სხდომაზე ვაყენებთ და ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად მალე მოგვარდეს. კარგად გვესმის, რომ II კორპუსი და ე.წ. მაღლივი კორპუსი უცებ ვერ გარემონტდება, მაგრამ არის პრობლემები, რომელთა მოგვარებაც მოკლე ვადაშია შესაძლებელი. ამ დოკუმენტში ყველაფერი ასახულია. ეს არის ჩვენი მოქმედების ერთგვარი სახელმძღვანელო წიგნი“, — აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს ცნობილი გახდება ევროპის სტუდენტთა გაერთიანების პასუხი საქართველოს წევრ სახელმწიფოდ არჩევის თაობაზე. მოლაპარაკებებში თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საგარეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი არჩილ ჯავახიშვილია ჩართული. ევროპის სტუდენტთა გაერთიანების დელეგაცია პრეზიდენტი და ბორდის რამდენიმე წევრი ადგილზე ვითარების გასაცნობად საქართველოს უკვე ესტუმრნენ.

„ველოდებით მათ დასკვნას და იმედი გვაქვს, რომ დადებით შეფასებას მოგვცემენ, რადგან ამ გაერთიანებაში ჩვენი გაწევრიანება მათი მიზანიც

გვ. 15

არჩილ ჯავახიშვილი

ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გამართული შეხვედრა აბასთუმნის ობსერვატორიაში

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

მე-14 გვ-დან

არის. გაწევრიანების შემდეგ წამოვა ის ბენეფიტები, რომელიც ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს ეკუთვნის — გაცვლითი პროექტები, შეხვედრები, თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ბევრ ქართველ სტუდენტს შეეძლება სამუშაო ვიზიტით გამგზავრება და დიდი გამოცდილების მიღება ისეთ საკითხებში, როგორიცაა საარჩევნო პროცესის წარმოება, დებატების კულტურა და ა.შ.“, — განაცხადა არჩილ ჯავახიშვილმა.

* * *

საგანმანათლებლო პროექტები, კონფერენციები, ექსპედიციები, შემეცნებითი ვიქტორინები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, ურთიერთობები საჯარო სკოლებთან, სტუდენტების უფლებების დაცვა, საგარეო კავშირების გამყარება — ამ აქტივობების გარდა სტუდენტურმა თვითმმართველობამ წელს რამდენიმე მასშტაბური კულტურული პროექტიც განახორციელა: უნივერსიტეტში ნიკოლოზ რაჭველის, ნინო ქათამაძის, ნიაზ დიასამიძის, სტეფანეს, სხვადასხვა ცნობილი არტისტების მუსიკალური საღამოები მოეწყო. სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასაც ეწევა — მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს თსუ-ის ლიგა ფუტსალში, ოლიმპიადები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. გააქტიურდა ტურიზმის მიმართულებაც, ხორციელდება ლაშქრობების, კლდეზე ცოცვისა და ზიპლაინის ტურები. რაც შეეხება დაფინანსებას, ეს საკითხი თვითმმართველობის პრეზიდენტმა ასე განმარტა: „თსუ ლიგის პროექტებისთვის რამდენიმე სპონსორი მოვიძიეთ, მათ შორის, „ევექსი“, ვთანამშრომლობდით ფეხბურთის კლუბ „ლოკომოტივთან“... რა თქმა უნდა, გარკვეულ პროექტებს განსახილველად სტუდენტური პროექტების დაფინანსების კომისიაში ვგზავნით, ნაწილი ფინანსდება, ნაწილი — არა, თუმცა მუდმივად ვცდილობთ გარე სპონსორების მოძიებას, რაც, რიგ შემთხვევაში, წარმატებით გამოგვდის“, — აღნიშნა შოთა კეჟერაშვილმა.

მოამზადა **ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ**

ᲙᲔᲜᲘ ᲚᲐᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ჯაზის, ფანკისა და სოულის ელემენტებზე დაფუძნებული ელექტრონული მუსიკის ცნობილი წარმომადგენლის, დეტროიტელი არტისტის, „soulful“ტექნოს შემქმნელის კენი ლარკინის კონცერტით მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველკურსელებს.

„დღევანდელი საღამო გამორჩეულია, რადგან საუნივერსიტეტო სივრცეში პირველად სტუმრად გვყავს თავის სფეროში ერთ-ერთი წარმატებული და აღიარებული კენი ლარკინი. ვეცადეთ, რომ პირველკურსელებისთვის მოგვეწყო განსაკუთრებული საღამო. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღონისძიება იქნება მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების დასაწყისი“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შოთა კეჟერაშვილმა.

ცნობილი არტისტის ელექტრონულ მუსიკაზე თსუ-ის 8 ათასამდე სტუდენტი გაერთო. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ „TSU Welcome Party 2019“-ს, რომელიც საქართველოს ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა, თავად კენი ლარკინი გამოეხმაურა საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე და მას გასაოცარი საღამო უწოდა.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ – ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ

ბატონი თამაზ გამყრელიძე თეორიულ ენათმეცნიერებაში სრულიად ახალი, ორიგინალური „ლინგვისტური პარადიგმის“ ავტორი, ქართულ ენათმეცნიერებაში თანამედროვე სამეცნიერო მეტაენის შემომტანია, რამაც განსაზღვრა ის მაღალი სამეცნიერო რეიტინგი, რითაც გამოირჩეოდა და დღესაც გამოირჩევა ქართული საენათმეცნიერო სკოლა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე, სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფილებისთვის ბატონი თამაზის ხელმძღვანელობით შემუშავდა ურთულესი პროგრამა. უმაღლესი დონის პროფესიონალები, გამოჩენილი ქართველი მეცნიერები გვასწავლიდნენ: სიმრავლეთა თეორიას, ინფორმატიკას, მათემატიკურ ლოგიკას, უმაღლეს აღგებრას, ალბათობის თეორიას, ტოპოლოგიას, ძველ და ახალ ქართულ ენებს, ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკასა და სანსკრიტს, ქართველურ და კავკასიურ ენებს, ექსპერიმენტულ და ზოგად ფონეტიკას, ძველ ბერძნულს, ლათინურს, აქადურს, არაბულ ენას, თანამედროვე ევროპულ ენებს, ენათმეცნიერების უახლეს თეორიებს... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს ჩამონათვალიც საკმარისია იმის შესაფასებლად, თუ როგორი განათლება მივიღეთ, მართლაც რომ თანამედროვე სტანდარტების დონის შესაბამისი.

ახალგაზრდა პიროვნებად, პროფესიონალად რომ ჩამოყალიბდე, ოჯახთან ერთად, ყველაზე მეტად, ჭეშმარიტი მასწავლებელი გჭირდება. მასწავლებელი — რომლის გაკვეთილზე, ლექციაზე შესვლაც გიხარია და გაცდენა არ გინდა; მასწავლებელი — რომელთანაც გამოცდაზე გასვლისა არ გეშინია, რადგან იქამდე გასწავლა ყველაფერი; მასწავლებელი — რომელიც არ „თამაშობს“, პატივს გცემს და ტოლივით გეპყრობა, სამართლიანია და გრძნობ, რომ უყვარხარ; მასწავლებელი — სულ რომ გახსოვს და მის დადებით გავლენას განიცდი. ნამდვილი მასწავლებელი მოსწავლეში ტოვებს თავის ნათელ კვალს, რომელიც მთელი ცხოვრება მიჰყვება. აი, ეს არის ჭეშმარიტი მასწავლებლის დანიშნულება. ვფიქრობთ, თუ ერთი ასეთი მასწავლებელი მაინც შეხვდება მოსწავლეს სკოლაში, სტუდენტს — უნივერსიტეტში, ეს დიდი ბედნიერებაა!

საამაყო, ამასთან უაღრესად საპასუხისმგებლოა იყო თამაზ გამყრელიძის მოწაფე. მან თავისი შემოქმედებით, საქმისადმი დამოკიდებულებით მოწაფეებს დაგვიწესა პროფესიონალიზმის ისეთი თამასა, რომლის დაძლევა კი არა, მასთან მიახლოებაც კი უაღრესად რთულია. ბატონი თამაზისაგან ვისწავლეთ სამეცნიერო ეთიკა. თავის ნაშრომებში იგი ყოველთვის უაღრესად კორექტულია. ერთ რამედ ღირს ოპონენტთან მისი მაღალი რანგის სამეცნიერო პაექრობის მოსმენა. იგი არასდროს ამცირებს მოპაექრეს, მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები და არ ცდილობს თავისი აზრი ვინმეს მოახვიოს თავს. ვერ ვიხსენებთ მის თუნდაც ერთ პუბლიკაციას, რომელიც ვინმეს კრიტიკას ეძღვნებოდეს. მისი შემოქმედება გამოირჩევა მხოლოდ პოზიტივით, არგუმენტებზე დაფუძნებული კვლევის მანერით, რომელიც ახლის შექმნით და არა სხვისი კრიტიკით ამკვიდრებს სრულიად ახალ, ორიგინალურ მოსაზრებას. ასეთია მისი ყველა გამოკვლევა.

ზემოთ ოჯახისა და მასწავლებლის როლზე ვლაპარაკობდით. ბატონი თამაზ გამყრელიძე დიდი ოჯახის შვილია — ორი აკადემიკოსი ერთი ოჯახიდან! მას დიდი მასწავლებლები ჰყავდა. ალბათ გახსოვთ, რა მართალი, ლაკონური და ზუსტი შეფასებები მიუძღვნა ბატონმა თამაზმა თავის მასწავლებლებს: აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთელს. აქვე შეგახსენებთ, რას წერდნენ და ამბობდნენ ბატონი თამაზის მასწავლებლები თავიანთი ღირსეული მოწაფის შემოქმედებაზე:

აკაკი შანიძე — თ. გამყრელიძის მონოგრაფიის „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ წინასიტყვაობაში ბატონი აკაკი აღნიშნავს: „ძველი ქართული წერა რომ ბერძნულის გავლენით შეიქმნა, პირველად თ. გამყრელიძის გამოკვლევაშია დასაბუთებული ვრცლად და სისტემებრ... დღეს, როდესაც სხვადახვა „თეორიებს“ თხზავენ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, თ. გამყრელიძის გამოკვლევა, სათანადო მეცნიერულ მეთოდზე დამყარებული და ფართო შედარებითტიპოლოგიური მასალით განმტკიცებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას იძენს“.

გიორგი ახვლედიანი — ბატონ თამაზს ვიაჩ. ივანოვთან თანაავტორობით შექმნილი მინოგრაფიის „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ დედანი მიუტანია გიორგი ახვლედიანისთვის წასაკითხად. იგი დაჰპირებია, გავეცნობი და ერთ კვირაში შეგატყობინებ ჩემს შთაბეჭდილებასო. მეორე დღესვე, გამთენიისას დაურეკავს ბატონ გიორგის და თავისთან შინ დაუბარებია ბატონი თამაზი — ახლავე მოდიო! აღელვებული ბატონი თამაზი თურმე განაჩენივით ელოდა მასწავლებლის შეფასებას. ბატონი თამაზის მეუღლე, ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი იგონებს: ოთახში რომ შევედით, ბატონი გიორგი ღონემიხდილი იჯდა სავარძელში, შემოგვხედა და ლამის ჩურჩულით წარმოთქვა: „თამაზ, გათენებამდე ვკითხულობდი და მგონი გენიალურია!“ ბატონ თამაზს ცრემლი მოსდგომია თვალზე, ბატონი გიორგიც ცრემლმორეული წამომდგარა და გულში ჩაუკრავს ღირსეული მოწაფე. ამ მონოგრაფიამ გამოსვლისთანავე, მართლაც, მთელი მსოფლიოს ენათმეცნიერები აალაპარაკა.

არნოლდ ჩიქობავა — ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში (1965 წ.) ბატონი არნოლდი ბოლოდროინდელ ქართველურ ენათმეცნიერულ შრომათაგან უპირველესად, როგორც უმნიშვნელოვანესს, ასახელებს თ. გამყრელიძის ნაშრომს „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959 წ.) და თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევას „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.).

გიორგი წერეთელი — თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივი მონოგრაფიის წინასიტყვაობაში ბატონი გიორგი წერს: „ეს არის პირველი ნაშრომი ქართველური ენათმეცნიერების დარგიდან, დაწერილი ენობრივი ანალიზის სტრუქტურული მეთოდის თანმიმდევრული გამოყენებით და ამდენად — შესატყვისი ლინგვისტური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონისა... არსებითად ეს შრომა წარმოადგენს საფუძველს ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული გრამატიკისას. იგი ახალ ეტაპს ქმნის ქართველურ დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში“.

დღეს, როდესაც შესაძლებლობა გვეძლევა მონაწილეობა მივიღოთ მსოფლიოს საერთაშორისო საენათმეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, გული სიამაყით გვევსება, როდესაც ისინიც კი, რომლებიც არ იზიარებენ თ. გამყრელიძის თეორიას, აღტაცებით ლაპარაკობენ ჩვენს მასწავლებელზე და ერთხმად მოიხსენიებენ მხოლოდ ერთი ეპითეტით — The Great!

ჩვენ, ბატონი თამაზის მოწაფეები, ბედნიერები ვართ, რომ გვყავს ასეთი მასწავლებელი, ცოცხალი კლასიკოსი თამაზ გამყრელიძე — The Great!

რუსუდან ასათიანი,
მარინე ივანიშვილი,
ივანე ლეჟავა,
ეთერ სოსელია

კავკასიის ქალთა სამოსის მინიატურული კოლექციის გამოფენა

ასმათ საღინაძე

შურთხია ბეროშვილი

„კავკასიის ქალთა სამოსი“ — ამ სახელწოდებით გაიმართა თსუ-ის მუზეუმში ქართველი ეთნოგრაფის ასმათ საღინაძის გამოფენა, სადაც კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსთა ეროვნული სამოსის მინიატურული კოლექცია იყო წარმოდგენილი. ავტორის მიერ შექმნილი კავკასიაში მცხოვრებ ქალთა სამოსელის მინიატურული კოლექცია მრავალწლიანი კვლევების შედეგად შეგროვებულ ვიზუალურ და ეთნოლოგიურ მასალას ეყრდნობა. სომეხი, აზერბაიჯანელი, ჩეჩენი, ინგუში, ჩერქეზი, ადიღელი, ყაბარდოელი, აფხაზი, ოსი და სხვა კავკასიელი ქალების მინიატურული სამოსი მათი ეთნიკური იდენტობის მიხედვით არის შექმნილი.

როგორც გამოფენის გახსნაზე თავად კოსტიუმების ავტორმა აღნიშნა, ნამუშევრების შექმნის პროცესი მრავალმხრივ საინტერესო და, ამავე დროს, საპასუხისმგებლოა, ამიტომ, ხშირად, პატარა დეტალსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ამდენად თითოეულ კოსტუმზე მუშაობისას გამოფენის ავტორი, ძირითადად, ფონდებიდან, არქივებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან, საოჯახო ისტორიული ალბომებიდან, სამუზეუმო საცავებიდან, შუა საუკუნეების მინიატურებიდან, გასული საუკუნეების მოგზაურთა ჩანახატებიდან და ლითოგრაფიებიდან მოძიებული მასალებით ხელმძღვანელობს. კავკასიური სამოსელის კომპლექსების კვლევა, კულტუროგენეზის ტერიტორიული ასპექტის გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოსაზღვრე ეთნოსების კულტურული ზეგავლენის ვექტორები და მათი ცვლილებების მიზეზები.

ერთიანობაში წარმოდგენილი კოლექცია კარგად ასახავს იმ მრავალფეროვნებას, თავისებურებებს, მსგავსებასა და განსხვავებას, რომლითაც ასე სავსე და მდიდარია კავკასია.

„სამოსი კულტურული მემკვიდრეობის განუყრელი ნაწილია. საუკუნეების მანძილზე კავკასიელი ქალბატონები ტანსაცმლის შესანიშნავ ნიმუშებს ქმნიდნენ, რომელშიც მათი ეთნოსებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და რელიგიური მდგომარეობა აისახებოდა. კავკასიაში 50-ზე მეტი ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი სახლობს, რომელთა შორის ისტორიულად და გეოგრაფიულად განპირობებულმა ხანგრძლივმა სოციალურ-ეკონომიკურმა ურთიერთობამ საერთო კულტურული სივრცის შექმნას შეუწყო ხელი. ეს მოვლენა მკაფიოდ აისახა ადგილობრივი მოსახლეობის სამოსელში. მამაკაცის ჩაცმულობა, ზოგიერთი შემთხვევის გარდა, ძირითადად, ჩოხა-ახალუხითაა წარმოდგენილი, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება კავკასიის ყველა ეთნოსში. გაცილებით მრავალფეროვანია ქალის ჩაცმულობა, როგორც ეთნოსებისათვის დამახასიათებელ ფერთა შეხამებაში, ასევე, თავსაბურების, სახელოთა სტილის თუ გულისპირთა მორთულობის თავისებურებაში. მიუხედავად ასეთი ნაირსახეობისა, დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს საერთო კულტურული არეალისათვის დამახასიათებელი ურთიერთგავლენის კვალს“, — ამბობს ასმათ საღინაძე.

კავკასიის ეროვნული სამოსით და სპეციფიკით ეთნოგრაფი დიდი ხნის წინ დაინტერესდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ყოველწლიურად მონაწილეობდა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. სტუდენტებთან ერთად მოვლილი აქვს ფშავი, ზემო და ქვემო სვანეთი, მთიანი რაჭა და სამეგრელო, სადაც იწერდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ასმათ საღინაძე სხვადასხვა დროს, ასევე, მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში, მოსწავლეთა სასახლის ეთნოგრაფიულ კაბინეტში, ასევე სკოლაში — „ქართული სასწავლებელი“ მითოლოგიისა და ზღაპრის ექსპერტად.

„1986 წელს ცნობილი მხატვარი და ეთნოგრაფიული თოჯინების უნიკალური ავტორი, ქალბატონი ნინო ბრაილაშვილი გავიცანი. სწორედ მასთან ურთიერთობამ და მისგან მიღებულმა რამდენიმე გაკვეთილმა გამიღვივა ინტერესი — თავადაც შემექმნა ეთნოგრაფიული თოჯინები, ამისათვის კი ბევრად მეტი ცოდნა და ინფორმაციის მოძიება იყო საჭირო კავკასიის ამა თუ იმ ხალხთა ყოფის, კულტურის შესახებ. დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ვსწავლობდი, ვკითხულობდი და ვეძებდი ვიზუალურ მასალებს კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე თოჯინების შექმნა. პირველი გამოფენა 2010 წლის გაზაფხულზე „თიბისი ბანკის“ საგამოფენო დარბაზში გაიმართა. რამდენიმე გამოფენა მქონდა ფოლკლორის ცენტრში, ეთნოგრაფიის მუზეუმში, ბაქოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმსა და, ბოლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვაგრძელებ ნიმუშების შექმნას“, — ამბობს ასმათ საღინაძე.

ავტორი: გვანცა მოსიძე
ფოტოკონკურსი „ჩემი თსუ“ (ფოტო სტუდენტური თვითმმართველობის ვებ-გვერდიდან)

უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
მზია წერეთელი,
ნინო ჩახუნაშვილი,
გიორგი ჯაიანი,
ომარ მუკბანიანი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).